ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

28 მაისიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი
მეორე ტომი
ფასი გაზეთთან ერთად — 6 ლარი




სამშაბათი, 5 ივნისი, 2012 №132 (5822) ფასი: 30 თეთრი

# ჯონდი ბალათურია: „თურქები რიკოთამდე ტერიტორიას იჩემებენ“

რა არის აღბეჭდილი თურქულ რუკებზე


გვ. 3

## სააკაშვილი თბილისისა და ბათუმის აეროპორტებს დაემუქრა


გვ. 3



## ზვიადაურს ნაციონალებმა პროვოკაცია მოუწყვეს

გვ. 4

ოლიმპიურ ჩემპიონთან მეგობრობის გამო თიანეთის პოლიციის უფროსის მოადგილე გაათავისუფლეს



## რატომ დაიჭირეს და გაათავისუფლეს ახმეტის გამგებელი

გვ. 4

## „ქართული ოცნების“ წევრებს იტაცებენ

გვ. 3

გორის ოფისის გატეხვას ივანიშვილის ხალხი ნაციონალებს აბრალებს

## გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილსა და მის გუნდს ქართველი ხალხი გაასამართლებს“


გვ. 5

## დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭოს ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, ჰილარი კლინტონს

გვ. 4



## ამერიკა ირანთან გამიჯვნას არ გვთხოვს

გვ. 8

23 მაისიდან
„ახალი თაობა“+
სალვადორ დალი
8 ლარი




ISSN 1987-9385

2 როდის დაატრიალებს სააკაშვილი მორიგ კარუსელს მთავრობაში?

5 „ევროპას 3 თვე დარჩა იმისათვის, რომ ევროს უშველოს“

8 ამომრჩეველს პოლიტიკოსების დებატების ხილვის საშუალება უნდა ჰქონდეს

11 ზვიად ძიძიგური: „ოქტომბერში ხელისუფლება შეიცვლება“

# როდის დაატრიალებს სააკაშვილი მორიგ კარუსელს მთავრობაში?

**ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი რვა წელია პრეზიდენტია, ორი ვადით პრეზიდენტობა საკმარისია იმისათვის, რომ ამომრჩეველს ზუსტი წარმოდგენა ჰქონდეს, როგორი ტიპის მმართველთან აქვს საქმე. სააკაშვილის სამთავრობო კარუსელებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ცნობილია, არა ერთი კარუსელი დატრიალებულა ამ რვა წლის მანძილზე. ბოლო დროს კი მთავრობაში კარუსელი აღარ ტრიალებს. ეტყობა, სააკაშვილი ამის საჭიროებას წინასაარჩევნო პერიოდში ვერ ხედავს. არადა, ხმაურიანი და ეფექტური ცვლილებები ამ მთავრობას ნამდვილად არ აწყენდა.**

თამარ ნინიძე

ნაციონალური მოძრაობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ვერაფრით მოიწონებს თავს, გარდა, რა თქმა უნდა, სააკაშვილის უსასრულო ლექციების, აუდიტორიის „დაბოლების" და რეგიონებში არანორმალური სისწრაფით და ერთი მეორეზე მიყოლებით ახალი საავადმყოფოების გახსნის. ყველაფერი ახალი რომ შენდება, ეს კარგია, მაგრამ ის, რასაც სააკაშვილი რეფორმებს უწოდებს და აღმშენებლობის სახელს არქმევს, ის, რასაც ჰქვია გზების, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, უწყვეტი დენისა და გაზის მიწოდება და ჩვეულებრივი ყოფითი პრობლემების მოგვარება, ეს ხელისუფლებამ ისედაც უნდა გააკეთოს დამადლებისა და განსაკუთრებული პომპეზურობის გარეშე. დღემდე საკუთარ ხალხს იმას ამადლიან, რომ შევარდნაძის დროს ბნელი და უკუნი იყო, დღეს შუქი გვაქვს, გზები დანგრეული იყო, და დღეს ცენტრალური გზები მოასფალტებულია, დღეს საჯარო რეესტრსა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში ქრთამს არ ითხოვენ და საგზაო პოლიცია მძღოლებს ფულს არ ართმევს, ახლა ლეგალურად წერენ ჯარიმებს და თითქოს ეს ჯარიმები ბიუჯეტში მიდის. მოკლედ. ყველაფერი დავარცხნილი და მოწესრიგებულია, გარეგნული ეფექტი კარგად აღიქმება, მაგრამ ფასადის გალამაზება რეფორმების ეფექტურობას არ ნიშნავს. სასამართლო ისევ მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს იუსტიციის მინისტრად მყოფმა სააკაშვილმა მოსამართლეების გამოცდების ჩატარება გადაწყვიტა და ახორციელებდა კიდეც, მაგრამ ესეც შევარდნაძის დასანახად ხდებოდა. რეფორმატორების ფრთა ვართ და ჩვენი აქტიურობა უნდა დაფასდესო. სასამართლოში რეფორმის პროცესი შეჩერდა, დღეს ამაზე აღარავინ საუბრობს.

კონტროლის პალატა ჯერ კიდევ შავიშვილის თავმჯდომარეობის დროს ანგარიშგასაწევ ორგანიზაციად იყო ცნობილი. პარლამენტის წინაშე არაერთხელ დამდგარა მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხი და პროკურატურაშიც არა ერთი სქელტანიანი საქმე გადაგზავნილა. ყოველ შემთხვევაში, კონტროლის პალატა ამართლებდა მეხუთე ხელისუფლების სახელს. ტრადიცია სულხან მოლაშვილის დროსაც გაგრძელდა, მაგრამ როგორც კი მოლაშვილის უწყებამ ე.წ. რეფორმატორების საქმეების შესწავლა დაიწყო, პირველი, რაც სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააკეთა, მოლაშვილს ეცა და დაიჭირა. ეს იყო კლასიკური მაგალითი ანგარიშსწორებისა. დღეს კონტროლის პალატა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხითაა დაკავებული, ხოლო ნაციონალური ტელევიზიები არც ერთ რეპორტაჟს არ აკეთებენ ამა თუ იმ სამინისტროში აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ. არადა აკაკი გოგიჩაიშვილის „60 წუთი" სწორედ კონტროლის პალატის მასალებზე დაყრდნობით ამზადებდა თავის სიუჟეტებს. საინტერესოა, დღეს სამინისტროები ისე გამართულად მუშაობენ, რომ ნაციონალური მედია საშუალებების ყურადღებას არ იმსახურებენ?

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ინვესტიციების მოზიდვითაა დაკავებული, ოღონდ უცხოელ ინვესტორებზე ნადირობს. სამამულო ინვესტიციების შესახებ არავის არაფერი გაუგია, ყოველ შემთხვევაში, ღირებული არაფერი ყოფილა, რაც საზოგადოების ყურადღებას მიიქცევდა. ნაციონალურ მოძრაობასთან დაახლოებული მეწარმეები სასათბურე პირობებში არიან, სხვებს ჯარიმებს ახდევინებენ და თუ ვინმემ ჯარიმის გადახდაზე უარი თქვა, იჭერენ. ცალკეულ მაგალითებზე ვერ გავამახვილებთ ყურადღებას, ამ მეწარმეების უკან ოჯახები დგას და მათ უსაფრთხოებაზე არც სააკაშვილი და არც მერაბიშვილი არ იზრუნებენ.

ჯანდაცვის სამინისტროში ნაციონალებს არაფერი აქვთ სატრაბახო, აქაც მძიმე სურათია. სააკაშვილმა განაცხადა, რომ არჩევნებამდე პერიოდში ერთიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები და პენსიონერები მიიღებენ სახელმწიფოსგან დაზღვევას, საშუალო ასაკის ადამიანებზე არაფერი იყო ნათქვამი, მაგალითად მათზე, ვინც უმუშევარია. ეს ადამიანები ფაქტობრივად განწირულები არიან. მხოლოდ ახლახან დაიწყეს საუბარი საყოველთაო დაზღვევაზე, ისიც ფრთხილად, ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას საყოველთაო დაზღვევის სისტემის შესახებ აკრიტიკებენ, კონცერტებსა და ტაშ-ფანდურზე დიდი თანხები იხარჯება, საყოველთაო დაზღვევაზე ნაციონალები თავს იკავებენ. ლეგენდარული ასი საავადმყოფოს იდეა, რომელიც მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნოდა, იდეად დარჩა. სანდრო კვიტაშვილმა სააკაშვილის ეს ბრძანება ვერ შეასრულა და მინისტრის სავარძელს გამოემშვიდობა. ახლა კი წინასაარჩევნოდ სააკაშვილი რეგიონებში ხსნის საავადმყოფოებს და როგორც ჩანს, ძალიან უნდა ეს ასი საავადმყოფოს იდეა საქმით დაამტკიცოს. რეგიონებში მოსახლეობა ახალგახსნილ კლინიკებს ოპტიმისტურად არ უყურებს. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კლინიკების მედპერსონალი თანამედროვე ტექნოლოგიებს ალღოს ვერ უღებს, მათი მკურნალობის სტილი და მეთოდოლოგია ძლიერ ჩამორჩება ამ თანამედროვე მეთოდებს და ამიტომ ექიმების გადამზადების საკითხი დგება.

განათლების სამინისტროში რეფორმების კურსი იმაზეა დამოკიდებული, შაშკინი იმ დილით როგორ ხასიათზე გაიღვიძებს. არანაირი გეგმაზომიერი კურსი არ არის. ერთადერთი უწყება გამოცდების ცენტრი მუშაობდა და იქაც შაშკინმა მოახერხა და პოლიტიკური ნიშნით მოახსნევინა ხელმძღვანელი. სანაცვლოდ პოლიციის აკადემიის ყოფილი რექტორი დასვა ამ ადგილზე, ეტყობა, წელს აბიტურიენტები პოლიციელების წინაშე ჩააბარებენ გამოცდებს.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ხელმძღვანელის ხათუნა კალმახელიძის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ ბევრი მითი მოგვისმენია, ის მინისტრის სავარძელში ზის, ციხე-კოლონიებში ბიბლიოთეკებს ხსნის და პატიმრების ზოგად განათლებაზე ზრუნავს, ამ დროს პატიმრები გაუგონარი სისასტიკისა და წამების შესახებ ნამდვილ ამბებს ყვებიან.

შსს და თავდაცვის სამინისტროებს ჩიტი ვერ გადაუფრენს. იქიდან არანაირი ინფორმაცია არ გამოდის გარდა იმისა, რისი გავრცელებაც თავად მინისტრებს სურთ. არაფერია ცნობილი იმის შესახებ, როგორ იხარჯება ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, მუშაობს თუ არა შიდა ინსპექციები, არის თუ არა რაიმე გადაცდომები და დარღვევები. ეტყობა, იდეალურად მუშაობენ ან იდეალურად ინილბებიან.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში საკადრო ცვლილება ლოგიკური იყო, ძველმა მინისტრმა, როგორც მისი თანამშრომლები ამბობდნენ, ძროხის სქესის გარჩევა არ იცოდა და ჰიბრიდული სიმინდის სკანდალი გაუშვეს. ახალი მინისტრი სიტყვა ჰიბრიდულს ვერ ელევა და ახლა შინაურ პირუტყვზე ატარებს ექსპერიმენტებს, ახალი ჰიბრიდული ღორები, ძროხები და თხები გვეყოლება.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ხელმძღვანელმა მოღვაწეობა ხმამაღლა და შემართულად დაიწყო, მაგრამ დღეს რაღაც ეს შემართება დაიკარგა. სუბელიანის უწყების მუშაობით თავად ლტოლვილები არ არიან კმაყოფილი, ნაციონალებს არც ამ ფრონტზე აქვთ კარგად საქმე.

კულტურის სამინისტრო შერჩევით კონცერტებს მართავს, შერჩევითი და კარის მომღერლების მონაწილეობით ფონოგრამაზე მღერაში დაოსტატებული პრიმების მონაწილეობით. ინდიელების რეზერვაციას მოგვაგონებს ის, რაც ხელოვანთა მიმართ ხდება, მიშისტებს დიდი პრივილეგიები აქვთ, ვინც არ მღერის მიშა მაგარია-ს, ის ხალხი ეკრანზე არ ჩნდება.

ქალაქების შერჩევითი მშენებლობა მართლაც გასაოცარია. თბილისში ბარაკებში ხალხი იღუპება წყალდიდობის შემდეგ, სააკაშვილი კი ლაზიკის მშენებლობაზე ფიქრობს. ასეა, პრეზიდენტიც ოცნებობს, ოღონდ რა საჭიროა ახალი ქალაქი, როცა ძველ ქალაქებს უჭირთ და დახმარება სჭირდებათ, ამ კითხვაზე პასუხი არავის აქვს.

სააკაშვილი მხოლოდ ერთი ვადით რომ ყოფილიყო პრეზიდენტი და ამ ოთხ წელიწადში რადიკალური რეფორმები გაეტარებინა სასამართლოში, საგადასახადო სისტემაში, განათლების სფეროშიც ყოველი ახალი მინისტრის ახირებებზე კი არ ყოფილიყო დამოკიდებული, არამედ გეგმიურ სწორ რეფორმაზე, ვინ იცის იქნებ უახლეს ისტორიაში დავით აღმაშენებლობაზე პრეტენზია თუ არა, მიხეილ რეფორმატორობაზე მაინც ჰქონოდა. ნაციონალები მყარად აპირებენ კიდევ ვინ იცის რამდენი ხნით ხელისუფლებაში დარჩენას. საზოგადოებაზეა დამოკიდებული, ფასადები უნდა თუ კარგი ცხოვრება.

## „დემოკრატიული მოძრაობა" სოხუმში, სასაფლაოს ტერიტერიაზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე შეშფოთებას გამოთქვამს

პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო" სოხუმში, სასაფლაოს ტერიტერიაზე, საცხოვრებელი სახლების შესაძლო მშენებლობასთან დაკავშირებით, შეშფოთებას გამოთქვამს.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობის" მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოში „წითელი ჯვრის" წარმომადგენლობამ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სოხუმში, ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფოს უკან მდებარე სასაფლაოს ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა მიმდინარეობს, რაც ამ საფლავების სრულ განადგურებას გამოიწვევს.



„დემოკრატიული მოძრაობა" აფხაზ ხალხს მიმართავს და აღნიშნავს, რომ როცა ქართველი და აფხაზი ხალხის სულიერ სიწმინდეებს შეიძლება განადგურება დაემუქროს, ამ შემთხვევაში, დაპირისპირების მიუხედავად ხმა ყველამ უნდა აიმაღლოს.

„საფლავები არცერთი იურიდიული თუ ფაქტიური ხელისუფლების საკუთრებას არ წარმოადგენს. საფლავები ეს არის აფხაზი და ქართველი ხალხის, თითოეული ჩვენგანის სიწმინდე, რომელსაც უდიდესი მოფრთხილება სჭირდება" – ნათქვამია განცხადებაში.

„დემოკრატიული მოძრაობა" აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას მოუწოდებს, ამ ფაქტს წინ აღუდგენ და მსგავსი არაჰუმანური ნაბიჯის გადადგმა არ დაუშვან.

განცხადების თანახმად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა დემოკრატიული სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაცია ამ ფაქტს ნეგატიურად აღიქვამს, რაც აფხაზი ხალხის ტრადიციებისთვის მიუღებელია და მათ წესსა და ადათს ეწინააღმდეგება.

ნიუსპრესი

## აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდა გრძელდება




პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე პაატა დავითაია ჟენევის მოლაპარაკებებზე აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ქართველთა საფლავების გადათხრის ფაქტების განხილვას ითხოვს.

როგორც მან ბიუროს სხდომაზე განაცხადა, ლაპარაკია სოხუმისა და გულრიფშის ქართულ სასაფლაოებზე, რომელთა მიზანმიმართული გადათხრა, განადგურება და ქართული კვალის წაშლა დაიწყო.

„ეს ეთნიკურ წმენდაზე უარესია", – აცხადებს დეპუტატი.

იგი საკითხის გარკვევაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩარევას ითხოვს. მან კოლეგებს შესთავაზა, რათა საგარეო უწყებისათვის ინფორმაციის მიწოდება საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს დაევალოს. საგარეო უწყებამ კი თავის მხრივ, საქმის კურსში საერთაშორისო თანამეგობრობა ჩააყენოს.

მისი მოსაზრებით, შესაძლებელია, რომ ქართულმა მხარემ ეს საკითხი ჟენევის მოლაპარაკებებზე დასვას.

მისი შეფასებით, ეს არაპირდაპირი გზით ეთნიკური წმენდის გაგრძელებაა.

მედიანიუსი

## დრონი.გე-სა და პრესა.გე-ზე განხორციელებულ კიბერშეტევაში ბრალდებული დააკავეს

ინტერნეტ-პორტალებზე განხორციელებულ კიბერშეტევაში ბრალდებული ლევან დარჯანია დააკავეს.



ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„2012 წლის 31 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო გამოძიება სხვადასხვა ინტერნეტ პორტალებზე კიბერშეტევის განხორციელების ფაქტთან დაკავშირებით. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, პოლიციის მიერ დაკავებულია 1993 წელს დაბადებული ლევან დარჯანია, რომელსაც ბრალი ედება კომპიუტერული პროგრამის უკანონოდ დამზადებასა და გავრცელებაში, რამაც ინტერნეტ პორტალების ფუნქციონირების განზრახ შეფერხება გამოიწვია. ლევან დარჯანია ბრალდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 285-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში", – აღნიშნულია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ 31 მაისს, საინფორმაციო პორტალებზე დრონი.გე და პრესა.გე კიბერ-შეტევა განხორციელდა, რამაც რამდენიმე საათის განმავლობაში საიტების პარალიზება გამოიწვია.

პირველი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა განდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ჯონდი ბალათურია: „თურქები რიკოთამდე ტერიტორიას იჩემებენ“

## რა არის აღბეჭდილი თურქულ რუკებზე

თეა მარხვაიძე


ჯონდი ბალათურია

აჭარის გარშემო ბევრი სკანდალური ინფორმაცია ვრცელდება. ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ელიზბარ ჯაველიძემ შარშან განაცხადა, რომ თურქებს აჭარაში ბორდელები აქვთ მოწყობილი. რამდენიმე თვის წინ სამართალდამცავებმა დააკავეს წყვილი. რომლებსაც შუა აზიიდან ბათუმში გოგონები ჩამოჰყავდათ ბორდელში სამუშაოდ.

ამის შემდეგ ამ თემაზე ხმა არავის ამოუღია. დუმილი დეპუტატმა ჯონდი ბალათურიამ დაარღვია. მან გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე საკმაოდ ხმაურიანი განცხადება გააკეთა.

მისი მტკიცებით, აჭარა საერთაშორისო ტრეფიკინგის ეპიცენტრად გადაიქცა.

– აჭარაში თურქებს შუა აზიის ქვეყნებიდან 16 წლამდე გოგონები შემოჰყავთ, რაც სამარცხვინო ბიზნესია და ქვეყნის იმიჯზე უარყოფით გავლენას ახდენს, – განაცხადა ბიუროს სხდომაზე ბალათურიამ.

როგორც მან მოგვიანებით ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, მას ეს ინფორმაცია ბათუმელებმა მიაწოდეს, რომლებიც აცხადებენ, რომ გოგონები სარფიდან ბათუმის ჩათვლით, სწორედ თურქეთს შემოჰყავთ.

ბალათურია მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობის გარეშე მსგავსი ფაქტების არსებობა შეუძლებელია.

დეპუტატმა ბიუროს სხდომაზე თურქეთზე ისიც აღნიშნა, რომ ქვეყანაში შედგენილ გარკვეულ რუკებზე აჭარიდან რიკოთის უღელტეხილამდე არსებული ტერიტორია თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

მისი ინფორმაციით, ამგვარი რუკების არსებობა სტამბულში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა გამოავლინეს.

ბალათურია მიიჩნევს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ გარემოებას დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს.

– მეგობარი მეგობარია, მაგრამ მან ჩვენი საზღვრები უნდა იცოდეს, – აღნიშნა ჯონდო ბალათურიამ.

ბალათურიას ამ განცხადებამ პარლამენტის თავმჯდომარე გაალიზიანა. დავით ბაქრაძემ კოლეგა ლამის ქსენოფობიაში დაადანაშაულა.

– მე ბატონი ჯონდის ანტითურქული განცხადებები მაშფოთებს. ბატონო ჯონდი გთხოვთ დაფიქრდეთ რა თამაშს თამაშობს იგი და შეახსენა, რომ ერთადერთი მეზობელი, რომელთანაც საქართველოს ტერიტორიული პრობლემა აქვს, რუსეთია. არაკოლეგიალურია ასეთ თემაზე შაყირი, თუ ტრეფიკინგია, მას ყურადღებას მივაქცევთ. საქართველო ტრეფიკინგთან ბრძოლაში ლიდერი ქვეყანაა, – განაცხადა ბაქრაძემ.

ჯონდი ბალათურიამ ბაქრაძის აღშფოთება არად ჩააგდო. პირიქით ის თურქეთში გამოცემული რუქების აფრიალებას დღევანდელ პლენარულ სხდომაზე აპირებს. რასაც შეიძლება ნაციონალების მხრიდან დიდი სკანდალი მოჰყვეს.

ისინი ბალათურიაზე ისედაც გულმოსულები არიან. მათ კოლეგისთვის დღემდე ვერ უპატიებიათ პრეზიდენტს ნერვები, რომ მოუშალა. აზერ სულეიმანოვის მსგავსად „ვაზელინის“ კოლოფი შეიძლება არ ესროლონ. მაგრამ პოლიტიკურ იარლიყებს მისთვის არ დაინანებენ.

# საკაშვილი თბილისისა და ბათუმის აეროპორტებს დაემუქრა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში არსებულ მაღალ ტარიფებზე ყურადღებას კიდევ ერთხელ ამახვილებს და აცხადებს, რომ მათ ტარიფების შემცირება მოუწევთ.



როგორც მიხეილ სააკაშვილმა კოპიტნარის აეროპორტში განაცხადა, სადაც მალე ფრენას დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია ვიზზ აირ დაიწყებს, თბილისის აეროპორტში ხალხს ყვლეფენ, ბათუმის აეროპორტში კი - უსამართლოდ მაღალი ტარიფებია.

მისი თქმით, ავიაკომპანია ვიზზ აირ მგზავრებს კიევში 22 ევროდ გადაიყვანს, ხოლო კიევიდან ევროპის ქვეყნებში გასამგზავრებლად მათ სულ 15-20 ევროს დამატება დასჭირდებათ.

„თუ აქამდე ვინმეს ეგონა, რომ ფრენა 37 მანეთად მხოლოდ იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პირობებში იყო შესაძლებელი, დღეიდან თავისუფალი ქვეყნიდან ევროპაში ფრენას 37 ევროდ შეძლებენ“-განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, თბილისისა და ბათუმის აეროპორტები ან ფასებს შეამცირებენ ან მგზავრებს დაკარგავენ, რადგან ხალხი ფრენას ქუთაისის აეროპორტიდან ამჯობინებს.

პრეზიდენტმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ვერა ქობალიას მადლობა გადაუხადა, რადგან დაბალფასიანი ავიაკომპანიების შემოყვანა სწორედ მისი იდეა იყო, რამაც პრეზიდენტის განმარტებით, გაქსუებული ავიაკომპანიების ნერვული რეაქცია გამოიწვია.

ნიუსპრესი

# „ქართული ოცნების“ წევრებს იტაცებენ

## გორის ოფისის გატეხვას ივანიშვილის ხალხი ნაციონალებს აბრალებს

**კოალიცია „ქართული ოცნება“ ქუთაისში აქციას 10 ივნისს ჩაატარებს. ამის თაობაზე გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კოალიციის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა.**

გულიკო ბალაძე

„ქართულ ოცნებას“ თავდაპირველად აქციის გამართვა 7 ივნისს, ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე, თეატრის წინ უნდოდა, მაგრამ ხელისუფლებისაგან მიიღო ცნობა, რომ ქუთაისში 1 ივნისიდან 1 ივლისამდე იგეგმებოდა თეატრალური ფესტივალი.

მაია ფანჯიკიძის თქმით, ბოლოს ხელისუფლებამ უკან დაიხია და ცენტრალურ მოედანზე აქციის გამართვა 11-დან 15 ივნისამდე ფარგლებში შესთავაზა, მაგრამ მათ ამ დათმობით სარგებლობა აღარ ისურვეს.

– ბოლოს ქუთაისის მერიამ გააკეთა განცხადება, რომ 11 ივნისიდან 15 ივნისამდე მათ მიერ არ იგეგმებოდა მასშტაბური ღონისძიებები, რომლებიც არ მოითხოვდა აუცილებლად ცენტრალური მოედნის გამოყენებას. ამიტომ გვთავაზობდნენ ამ რიცხვებში შეგვეძლო ჩვენი აქცია გაგვემართა იქ, სადაც თავდაპირველად ვგეგმავდით მათ. ეს იმით დაასაბუთეს, რომ 8-ში, 9-ში და 10-ში, როგორც კვირის ბოლო დღეებში, ისევ უნდა გაიმართოს მასშტაბური ღონისძიებები და ამიტომ ისინი ამ მოედანს ამ დღეებში ვერ დაგვითმობენ. მიუხედავად ამ შემოთავაზებისა, რადგან უკვე დაწყებული გვქონდა მოსამზადებელი სამუშაოები, ჩვენი გადაწყვეტილება აღარ შევცვალეთ. ჩვენი აქცია გაიმართება კვირას 10 ივნისს 6 საათზე დავით აღმაშენებლის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე და ასსაფეხურიანი კიბის ირგვლივ.. ეს იქნება ისეთივე ამაღლებული და ხალხმრავალი აქცია, როგორც ეს იყო 27 მაისს თავისუფლების მოედანზე, – აცხადებს მაია ფანჯიკიძე.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე მაია ფანჯიკიძემ 3 ივნისს მომხდარ „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულ ორ ფაქტზეც გააკეთა განცხადებები.

პირველი ფაქტი გორში მათი ოფისის ძარცვას ეხება. მეორე კი – 3 ივნისს, 22 საათზე, თბილისში, წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიიდან „ქართული ოცნების“ წევრის, ძიუდოში საქართველოს ჩემპიონის ამბაკო ავალიანის გატაცებას.

როგორც ჩანს, ხელისუფლება ზოგიერთი „ქართული ოცნებელის“ გადაბირებასა და დაშინებაზე მუშაობს, რაზეც ძიუდოისტ ამბაკო ავალიანთან დაკავშირებული ფაქტიც მიუთითებს.

მაია ფანჯიკიძის თქმით, როგორც ირკვევა, ძიუდოისტი მინისტრ ლადო ვარძელაშვილთან მიიყვანეს. თუმცა, რაზე ესაუბრნენ მას, ავალიანი არ ახმაურებს.

– 3 ივნისს, დაახლოებით 22 საათზე, საღამოს, თბილისში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიიდან გაიტაცეს „ქართული ოცნების“ წევრი საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში, ამბაკო ავალიანი, რომელსაც თან ახლდნენ სპორტსმენები ზურაბ ბენდელიანი და მისი ნათესავი ირაკლი გულბანი. თვითმხილველების ცნობით, ამბაკო ავალიანს მთელი დღის განმავლობაში უკავშირდებოდა მისი ძველი თანაგუნდელი სინჯიკაშვილი და სთხოვდა შეხვედრას. თან არწმუნებდა, რომ ჩამოშორებოდა პოლიტიკურ კოალიცია „ქართულ ოცნებას“.

ბოლოს ამბაკო ავალიანი დათანხმდა მასთან შეხვედრას. ეს შეხვედრა მოხდა სწორედ ზემოხსენებულ ეკლესიასთან. მან გააჩერა მანქანა ეკლესიასთან, სადაც სინჯიკაშვილი უნდა მისულიყო. სინჯიკაშვილი შეხვედრის ადგილას მივიდა ორი ჯიპითა და სამი მსუბუქი მანქანით, დაახლოებით 20 თანმხლებ პირთან ერთად. მათ ავალიანი ჩასვეს მანქანაში და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მას შემდეგ ავალიანს გამორთული ჰქონდა მობილური ტელეფონი და მასთან დაკავშირება ვერ ხერხდებოდა.

მაია ფანჯიკიძე აღნიშნავს, რომ ავალიანის გათავისუფლება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ისინი საქართველოს უშიშროების საბჭოს დაუკავშირდნენ.


მაია ფანჯიკიძე

– სასწრაფო რეაგირების მიზნით, „ქართული ოცნება“ 22 საათსა და 40 წუთზე დაუკავშირდა უშიშროების საბჭოსთან არსებულ უწყებათაშორის კომისიას. ამ დაკავშირების შემდეგ ამბაკო ავალიანი ძალიან მალე დაბრუნდა, მოხერხდა მისი გათავისუფლება იმ გაურკვეველი სიტუაციიდან, რომელშიც იგი იმყოფებოდა. თუმცა, შემდეგ მან არ ისურვა იმაზე საუბარი, თუ რა სახის ზეწოლა ხორციელდებოდა მასზე, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძის თქმით, აღნიშნული ფაქტი აუცილებლად იმსახურებს ყურადღებას და მოითხოვს დეტალურ გამოძიებას.

მაია ფანჯიკიძემ ისაუბრა აგრეთვე გორში მათი ოფისის გაძარცვის გარემოებებზე.

– 3 ივნისი საკმაოდ დაძაბული დღე იყო ჩვენი პოლიტიკური კოალიციისთვის. გორში გატეხეს ჩვენი ოფისი. როგორც ჩანს, ეს მოხდა ღამის საათებში. ოფისიდან წაღებულია 2 კომპიუტერი და იქ არსებული დოკუმენტაცია. ხელი არ არის ნახლები სხვა მატერიალური ღირებულების მქონე საგნებზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ წაღებულია მხოლოდ მასალა, რომელიც ქურდების ვარაუდით შეიცავდა ინფორმაციას ჩვენი მომხრეებისა და ჩვენი საქმიანობის შესახებ. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს ვერ მისცემს საშუალებას ხელისუფლებას, განახორციელოს ზეწოლა ჩვენს მომხრეებზე, რომელიც ამას არ შეუშინდებიან, – დარწმუნებულია მაია ფანჯიკიძე.

მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით:

– საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პატრული გამოიძახა არა ჩვენმა თანამშრომელმა, რომელიც ადგილზე მივიდა, როგორც კი გაიგო, ოფისი გატეხილი იყო, არამედ გიორგი ზენაძემ, რომელიც არის საკრებულოს წევრი ნაციონალური მოძრაობიდან. ზენაძემ თქვა, რომ იმ სახლში (სტალინის ქ.№48-ში), სადაც არის ჩვენი ოფისი (ეს არის მრავალსართულიანი სახლის პირველი სართული), ცხოვრობს მისი დეიდაშვილი, რომელიც დილის ხუთის ნახევარზე ასეირნებდა ბავშვს და სწორედ მან შეამჩნია, რომ ოფისი იყო გატეხილი. ჯერ დაურეკა გიორგი ზენაძეს, შემდეგ დაურეკა სოსო პაპიტაშვილს, რომელიც არის გორის ახალგაზრდული ცენტრის მთავარი სპეციალისტი და სწორედ მათ გამოიძახეს პატრული. პატრული ძალიან მალე მივიდა ადგილზე. მან დაიწყო საკითხის შესწავლა. იმედი გვაქვს, ის პატრული, რომელსაც აქვს მოსახლეობის 90%-იანი ნდობა, არც ჩვენ გაგვიცრუებს იმედებს და ამ ფაქტს სწრაფად გამოიძიებს.

მაია ფანჯიკიძემ სპეციალური განცხადება გააკეთა ასევე პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მანანა კობახიძესთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებზე.

მაია ფანჯიკიძის განცხადებით, მანანა კობახიძის მიმართ ბოლო პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან საჯარო გამოსვლებში მეორდება მისთვის ბრალის დადება, თითქოს იგი სექსუალური და ეროვნული უმცირესობების მიმართ იყენებს არაეთიკურ გამონათქვამებს და არღვევს მათ უფლებებს.

– მანანა კობახიძის მიმართ ასეთი ბრალდება პირველად გახმოვანდა „მაესტროს“ ეთერში, როდესაც მე მქონდა დებატები უმრავლესობის წარმომადგენელ ჩიორა თაქთაქიშვილთან. მან ჩემთან საუბარში დასდო ბრალი მანანა კობახიძეს., რომ იგი ეროვნულ უმცირესობებს იხსენიებდა არაეთიკურად და მოიყვანა ვითომდა ციტატები ქალბატონ მანანას აბსოლუტურად არარსებული გამოსვლიდან. ჩვენ ამ ფაქტზე გვინდოდა რეაგირება. მე პირდაპირ ეთერში მოვთხოვე ამის დამადასტურებელი საბუთები, თუმცა, იქვე განვაცხადე, რომ საბუთები არ მჭირდებოდა, რადგან გამორიცხულია ამას ამბობდეს მანანა კობახიძე, რომელიც 10 წელია ადამიანის უფლებების დამცველია. არც კი მჭირდებოდა ამ ფაქტის გადამოწმება, იმდენად დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის ცილისწამება. მე დამასწრო ქალბატონმა თეა სიჭინავამ და შეახსენა ჩიორა თაქთაქიშვილს სააკაშვილის სიტყვები, როდესაც იგი ამბობდა, აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს შემადგენლობაშიო. ჩიორა თაქთაქიშვილის რეაქცია იყო, რომ მსგავსი რამ სააკაშვილისაგან არ გაეგონა. მას არც სააკაშვილის მიერ იგივე გამონათქვამის დადასტურება ჰქონდა გაგონილი, რაც ჩემთვის სასაცილო იყო. იმ ეთერში ქალბატონი თაქთაქიშვილი შემპირდა, მომაწოდებდა იმის დამადასტურებელ საბუთებს, რომ მანანა კობახიძეს როდესმე უდიერად ჰყავდა მოხსენიებული ეროვნული უმცირესობა. რასაკვირველია, ამის დამადასტურებელი საბუთები არც მე და არც არავის არ მიგვილია. ვფიქრობდით, რომ ეს საკითხი არ იმსახურებდა განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ არ მომხდარიყო თამარ ჩორგოლეიშვილის მიერ მსგავსი ბრალდების კიდევ ერთხელ გამეორება.

ამიტომ კოალიცია „ქართული ოცნება“ აცხადებს:

– სრულიად აბსურდული და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ხელისუფლებისა და მათი პოზიციების გამხმოვანებელი ჩორგოლეიშვილის ბრალდებები. ყოველივე ეს ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, რაც ხელისუფლების მიერ აგორებული ბინძური კამპანიის ნაწილია. მანანა კობახიძე 10 წლის განმავლობაში საქმიანობდა უფლებადაცვის სფეროში და ხელისუფლების უკანონო ქმედებებისაგან იცავდა არაერთი მოქალაქის, მათ შორის, უმცირესობის უფლებებსაც. ხელისუფლება ვიდრე მსგავს ცილისწამებას გაავრცელებს, უმჯობესია წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

# ზვიადაურს ნაციონალებმა პროვოკაცია მოუწყვეს

## ოლიმპიურ ჩემპიონთან მეგობრობის გამო თიანეთის პოლიციის უფროსის მოადგილე გაათავისუფლეს

თეა მარხვაიძე

**მმართველ გუნდს ზურაბ ზვიადაურის პოლიტიკური გადაწყვეტილება არ მოეწონა. ნაციონალებს დღემდე ვერ მოუნელებიათ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქართულ ოცნებაში რომ გადაინაცვლა. მის წინააღმდეგ უკვე სერიოზული კამპანია დაიწყო. ზოგიერთი ნაციონალი იმასაც ამბობს, ზვიადაური დიდი ვერაფერი ძიუდოისტი იყოო. მას თურმე ათენის ოლიმპიადაზე მხოლოდ გაუმართლა.**



ზურაბ ზვიადაური

ლადო ვარძელაშვილი კი კინაღამ სიცილით მოკვდა, როცა ზვიადაურის პოლიტიკაში წასვლის ამბავი გაიგო. ისე, იმ ქვეყანაში, სადაც ვარძელაშვილი სპორტის მინისტრია, ზვიადაური პოლიტიკოსი რატომ არ უნდა იყოს?1

ქართულ ოცნებაში გადასვლის შემდეგ ჩემპიონმა განაცხადა, რომ მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა. ეს ზეწოლა დღემდე გრძელდება. სწორედ ზეწოლად აფასებს ზვიადაური გუშინ ოლიმპიურ ვარსკვლავთან მომხდარ გაუგებრობას.

4 ივნისს ოლიმპიურ ვარსკვლავთან პატარა აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები სამშენებლო კომპანიისგან თანხების უკან დაბრუნებას ითხოვდნენ. ყველამ კარგად იცის, რომ სამშენებლო კომპანია ბინების აშენებას აგვიანებს.

ოლიმპიური ვარსკვლავი პრეზიდენტმა საააკაშვილმაც ახსენა მაისში. თქვა, თუ ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებენ, დავაჯარიმოთო. მაშინვე გაჩნდა ეჭვები, რომ „ვარსკვლავის" ვარსკვლავებმა პოლიტიკური ორიენტაცია შეიცვალეს. ყველამ იფიქრა, რომ გიორგი ასანიძე გადავიდოდა ოცნებაში. მოლოდინმა მთლად არ გაამართლა. ამ კრიტიკადან მეორე დღეს მეოცნებე ზურაბ ზვიადაური გახდა. ასანიძე კი ჯერ ისევ მმართველ გუნდშია.

გუშინ კი ოლიმპიურ ვარსკვლავთან დიდი ჩხუბი და გაწევ-გამოწევა იყო. ამ ალიაქოთს მეოცნებე ზვიადაური ნაცმოძის მიერ მოწყობილ პროვოკაციას უწოდებს.

– მე პოლიტიკაში წასვლის შემდეგ ამ კომპანიის წილიდან სპეციალურად გავედი იმის გამო, რომ ამ კომპანიას პრობლემა არ შექმნოდა. მაგრამ 4 ივნისს აქ მოვიდა ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე აქტივისტი და კომპანიასთან შესახვედრად მოსული ხალხი სათავისოდ გამოიყენა. მათ მოაწყეს პროვოკაცია და ამ ადამიანებს ტელევიზია დაახვედრეს. ეს ხალხი საქმეზე იყო მოსული, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტი და პროვოკატორი მხოლოდ 5-6 ადამიანი იყო, რომლებმაც ეს არეულობა და აქცია გამართეს. ეს იყო პოლიტიკური ანგარიშსწორება მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში წასვლის შესახებ განცხადება გავაკეთე, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ზვიადაურმა.

განცხადება გააკეთეს სამშენებლო კომპანია ოლიმპიური ვარსკვლავის წარმომადგენლებმაც. სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები ხელისუფლებას პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში ადანაშაულებენ.

ოლიმპიური ვარსკვლავის პიარმენეჯერის, ლელა რაზიკაშვილის განცხადებით, აღნიშნული ადამიანები ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები იყვნენ.

– „საქართველოს ბანკი" ორი წელია ჩვენთან გაუგებარ რეჟიმში მუშაობს და ჩვენ ვაცხადებთ, რომ მათ კომპანიის წართმევა სურთ. ჩვენ კლიენტებთან გვაქვს გამუდმებით მოლაპარაკებები მშენებლობებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა პარასკევსაც უნდა შემდგარიყო, თუმცა ამ შეხვედრაზე „საქართველოს ბანკი" არ გამოცხადდა და შეურაცხყო მოსახლეობა. გუშინ აქ მოვიდა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი, ვანო ზარდიაშვილი. მოიყვანა რამდენიმე ადამიანი, ასევე ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები და ოფისთან აქცია მოაწყო. ჩვენს კლიენტებს, რომლებიც აქ შეხვედრაზე იყვნენ დაბარებულნი, ისინი ტელეფონით დაუკავშირდნენ და ოფისში მოსვლა სთხოვეს. აქციაზე მოსული პროვოკატორები ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები იყვნენ და მათ კლიენტებთან კავშირი არ ჰქონდათ. თავად კლიენტები, რომლებიც შეხვედრაზე იყვნენ მისულები, აქციის გამო გაკვირვებულები დარჩნენ. მას შემდეგ, რაც აქედან ეს პროვოკატორები წავიდნენ, ჩვენი კლიენტები ამოვიდნენ და ჩვენთან გააგრძელეს შეხვედრა. ისინი აცხადებენ, რომ აქ აქციისთვის არ მოსულან და ხმაურის ატეხვა არ სურდათ. მათ არც ის იცოდნენ, თუ ვინ დაურეკა და არც ის, თუ რატომ დახვდათ აქ არეულობა და კამერები, – აღნიშნა ლელა რაზიკაშვილმა.

რამდენად სწრაფად და კარგად აშენებს ოლიმპიური ვარსკვლავი შენობებს, სხვა საქმეა. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ზვიადაურის წინააღმდეგ ვიღაცები რაღაცას აწყობენ.

ცოტა ხნის წინ ძიუდოს ფედერაციიდან მისი ახლობელი გაათავისუფლეს. ახლა კი თიანეთის პოლიციის უფროსის მოადგილე გაუთავისუფლებიათ პოსტიდან. ოღონდ არა ის, ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის დაკავებაში რომ მონაწილეობდა.

თავის ახლობლების დევნაზე მეოცნებე ზვიადაურმა დედოფლისწყაროში გააკეთა განცხადება. ქართული ოცნების წარმომადგენლებმა აქაურ მხარდამჭერებთან გამართეს შეხვედრა.

რა მაგის პასუხია და აქაურ ნაციონალებს სათავეში ზვიადაურის კოლეგა ზაზა კედელაშვილი უდგას. ეს უკანასკნელი ევროპის სამგზის ჩემპიონია. მას ბიძინა ივანიშვილი დღემდე უხდის თვეში 1500 ლარს. დაუდასტურებელი ინფორმაციით, დედოფლისწყაროს მაჟორიტარად სწორედ ის იყრის კენჭს. საინტერესოა, ვარძელაშვილი რას ფიქრობს კედელაშვილის პოლიტიკოსობაზე?

დედოფლისწყაროელებს ზვიადაურმა გულისამაჩუყებელი სიტყვებით მიმართა. ამასთან ისიც აუხსნა, თუ რატომ წავიდა პოლიტიკაში.

– ჩვენ ვეფერებით ხალხს იმის გულისთვის, რომ არ შეეშინდეთ, გადადგან სწორი ნაბიჯი, რათა აღარ ვიყოთ ასე დაჩაგრულები. გლეხი აღარ იყოს ამ უწმინდურების ხელში. ალბათ, ყველას გაუჩნდა კითხვა, თუ რა მინდა „ქართულ ოცნებაში", თუ რატომ გადავდგით ეს ნაბიჯი ან მე, ან კახიმ. ჩვენ შეგვეძლო სპორტში უფრო მეტისთვის მიგვეღწია, მაგრამ რომ ვხედავთ ქვეყანაში უსამართლობას, რომ ვხედავთ, როგორ არის დაჩაგრული თითოეული ადამიანი, ამის გულისთვის გადავდგით ეს ნაბიჯი. დღეს აქ იმყოფება ადამიანი, ძიუდოს მწვრთნელი, რომელსაც რამდენიმე ადამიანმა დაურეკა და უთხრა, რომ თუ აქ ჩამოვიდოდა, გათავისუფლდებოდა მწვრთნელობიდან. ჩვენ ხალხს კიდევ შევეხვეწებით, მოვეფერებით, მოვესიყვარულებით, ვთხოვთ ყველა ადამიანს, ნუ შეეშინდებათ, უნდა გავიჭირვოთ ყველამ, თითოეულმა ადამიანმა და გადავდგათ ეს ნაბიჯი აი, ამ დამპალი ხელისუფლების წასასვლელად, – განაცხადა ზურაბ ზვიადაურმა.

დედოფლისწყაროში მხარდამჭერებს ის კახა კალაძესთან ერთად შეხვდა, ეს უკანასკნელი ბოლო დროს ლამის იტალიური მაფიის შეფად წარმოაჩინეს.

ამ შეხვედრაზე ზვიადაურმა მოსახლეობას იმ ზეწოლაზეც მოუთხრო, რაც მასზე და მის მეგობრებზე ხორციელდებოდა.

– იმ მიზნით, რომ კოალიციაში გაწევრიანებაზე უარი მეთქვა, ჩემზე ზეწოლა ხორციელდებოდა. როდესაც ჩემი გადაწყვეტილება გაიგეს, ჩემს მეგობრებსაც ურეკავდნენ. არ დავკონკრეტდები თუ ვისგან იყო ეს ზარები, – ამბობს ზვიადაური.

რამდენიმე დღის წინ სააგენტო „პირველმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ ძიუდოს ფედერაციიდან ზვიადაურთან მეგობრობის გამო სოფო ცირეკიძე გაათავისუფლეს., სოფო ფედერაციაში საზღვარგარეთთან ურთიერთობის კურატორი იყო. გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებს თავად ცირეკიძემ მიაწოდა.

თიანეთის პოლიციის უფროსის მოადგილის, ზურაბ უძილაურის, გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია თავად ზვიადაურმა გააჟღერა.

– თანამდებობიდან გაათავისუფლეს თიანეთის პოლიციის უფროსი ზურაბ უძილაური. ის ჩემი მეგობარია, მე მისი შვილის ნათლია ვარ. თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზი ჩემთან მეგობრობა და ჩვენი სატელეფონო ზარები გახდა. ზურაბს უთხრეს, რომ ან ჩემთან გაწყვეტდა კონტაქტს, ან სამსახურს დაატოვებინებდნენ. მან სამსახურის დატოვება არჩია, – აღნიშნა ზვიადაურმა.

# რატომ დაიჭირეს და გაათავისუფლეს ახმეტის გამგებელი

თეა მარხვაიძე

კახეთის რეგიონში ბოლო თვეების განმავლობაში რამდენიმე გამგებელი გაათავისუფლეს. გავრცელებული ინფორმაციით, მათ კორუფციული გარიგებების გამო დაატოვებინეს პოსტი.



კობა მაისურაძე

კახეთი გამგებლების დაკავების მოლოდინში გაისუსა, მაგრამ როგორც პრეზიდენტი იტყოდა, ნურას უკაცრავად. ექსგამგებლები სხვადასხვა პოსტებზე დანიშნეს.

გუშინ კი ახმეტის გამგებელზე გავრცელდა სკანდალური ინფორმაცია. ხმა გავარდა, კობა მაისურაძე დააკავესო. ეს ინფორმაცია კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ექსკლუზიური ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, სამართალდამცავებმა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა მაისურაძე დააკავეს. წყაროს ცნობით, გამგებლის დაკავება ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახანძრო – სამაშველო სამსახურისთვის გამოყოფილი თანხების არამიზნობრივ ხარჯვას უკავშირდება.

– გამგებელი დაკავებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატის პეტრე ცისკარიშვილის ჩარევით გაათავისუფლეს, – იტყობინება წყარო.

როგორც ამბობენ, სწორედ ცისკარიშვილი გახლავთ კობა მაისურაძის კრიშა. ასე რომ არ ყოფილიყო, უმრავლესობის ლიდერი მის გასათავისუფლებლად თავს არ გამოიდებდა, რა თქმა უნდა, თუ მართლა მოხდა ასეთი ფაქტი.

ახმეტის გამგებელი მისი დაკავების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

– არა, როდის? რატომ? ვინ მოგაწოდათ ეგ ინფორმაცია? – ჰკითხა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გამგებელმა.

კობა მაისურაძისგან ინფორმაციის მიღებას ჩვენც შევეცადეთ. თუმცა გამგებელი ჩვენს ზარებს არ პასუხობდა.

გამგებლის დაკავების ფაქტი კახეთის საინფორმაციო ცენტრს დაუდასტურეს გამგეობის თანამშრომლებმაც.

გადამოწმებული ინფორმაციით, ახმეტის ბიუჯეტიდან თანხების არამიზნობრივად ხარჯვის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, რამდენიმე დღის წინ, ახმეტის სახანძრო – სამაშველო სამსახურის უფროსმა ბესიკ ნასიპაშვილმა თანამდებობა დატოვა. ნასიპაშვილი თანამდებობის დატოვების მიზეზებზე კომენტარს არ აკეთებს.

# დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველოს" მთავარი საბჭოს ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელწიფო მდივანს, ჰილარი კლინტონს

პოზიტიურად ვაფასებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელწიფო დეპარტამენტის დასკვნა მნიშვნელოვანწილად ასახავს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას. ის დიპლომატიური თავშეკავებით ეხება ამ სფეროში არსებულ ყველა პრობლემას.

ანალოგიურად კრიტიკული იყო სახელწიფო დეპარტამენტის შარშანდელი დასკვნაც, მაგრამ ხელისუფლებას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. სწორედ ხელისუფლების მიერ ამ საკითხების იგნორირების შედეგად სიტუაცია თითქმის ყველა მიმართულებით გაუარესდა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელწიფო დეპარტამენტის დასკვნაც კიდევ უფრო კრიტიკული გახდა.

2011 წლის 26 მაისის სისხლიან ღამეს ხელისუფლების მხრიდან სადამსჯელო სპეცოპერაციის დროს, დაირღვა ყველა საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, კონვენცია, შეთანხმება. დაირღვა საქართველოს უზენაესი კანონი – კონსტიტუცია. სადამსჯელო სპეცოპერაციის შედეგად, სახელისუფლო ოფიციალური მონაცემებით გარდაიცვალა 4 ადამიანი, აქციის ასობით მონაწილემ მიიღო სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება. უკანონოდ, მოგონილი ბრალდებებით დააპატიმრეს 300-მდე ადამიანი, „სახალხო კრების" 41 პოლიტპატიმარი დღემდე უკანონოდ რჩება საპატიმროებში ( ორი სასჯელის მოხდის შემდეგ გამოშვებულია). მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოთხოვნა იყო ჩატარებულიყო ობიექტური გამოძიება 2011 წლის 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ შსს-ს ე.წ. დახურული შიდა მოკვლევით დაკმაყოფილდა.

დარწმუნებული ვართ, რომ დროული და ადექვატურად მწვავე რეაგირების შემთხვევაში ქვეყანაში არ იქნებოდა ის მდგომარეობა, რაც დღეს არის: სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების მდგომარეობა უმძიმესია, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, პრაქტიკულად გაურკვეველ ვითარებაში 146 პატიმარია დაღუპული, მხოლოდ ორი თვის განმავლობაში ხელისუფლების მხრიდან ჟურნალისტებზე ზეწოლის 30-ზე მეტი ფაქტია დაფიქსირებული და არც ერთი მათგანი არ არის გამოძიებული, ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებით, კონტროლის პალატამ შეიძინა სადამსჯელო ფუნქცია და ახორციელებს ზეწოლას ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებსა და მის მხარდამჭერებზე, წინასაარჩევნოდ ხელისუფლების მიერ გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებით საარჩევნო გარემო უკიდურესად გაუარესდა. როგორც რეალობა გვიჩვენებს და ქვეყანაში მომქმედი პოლიტიკოსები პროგნოზირებენ, ხელისუფლება საარჩევნოდ გაამკაცრებს დევნას ოპოზიციურ აქტივისტებზე; ისევ მოგონილი და შეთითხნილი ბრალდებით, მართული სასამართლოების მეშვეობით გარკვეული პერიოდით მოაშორებს მათ საარჩევნო ბრძოლას.

ქალბატონო სახელმწიფო მინისტრო!

მნიშვნელოვანია, თუ თქვენი ვიზიტის დროს მოიკითხავთ და ყურადღებას გაამახვილებთ იმ პატიმართა მდგომარეობაზე, რომლებიც უდანაშაულოდ იხდიან უკანონო სასჯელს და მიღწეული იქნება, რომ ხელისუფლებამ გადახედოს თავის დამოკიდებულებას მათ მიმართ.

დღეს საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელისთვისაც მხოლოდ რეალობის ასახვა არ არის საკმარისი. ქვეყნის ხვალინდელი დღისათვის მნიშვნელოვანი იქნება, თუ აშშ-ს ხელისუფლება ადექვატურ სახელს დაარქმევს საქართველოში არსებულ სიტუაციას. არსებული რეალობა კი ასეთია: დღეს საქართველოში დემოკრატია არ არის.

# პარლამენტში პლენარული სხდომები კვირაში ერთხელ გაიმართება

მიმდინარე კვირიდან საქართველოს პარლამენტი პლენარულ სხდომებზე ორი დღის ნაცვლად, კვირაში მხოლოდ ერთხელ შეიკრიბება. როგორც ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ განაცხადა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო 29 ივნისამდე აგრძელებს მუშაობას. თუმცა იმის გამო, რომ ძალიან ცოტა ახალი ინიციატივაა წარმოდგენილი, სასესიო კვირაში ორ-ორი სხდომის ჩატარების აუცილებლობა აღარ არის.

რეგლამენტის თანახმად, პლენარული სხდომები სასესიო კვირის სამშაბათსა და პარასკევს იმართება

მედიანიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაუმორჩილებელი გარემოვაჭრეები

ნინო ღვედაშვილი

თბილისის მერიის მიერ გარემოვაჭრეებისადმი დევნამ შედეგი ვერ გამოიღო. არაერთი მოვაჭრე ეწინააღმდეგება ბაზარში შესვლის მოთხოვნას. მათ დასამორჩილებლად ჯარიმებსაც წერენ და მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებიც ხშირ შემოვლას აწარმოებენ.



28 წლის მადონა დისკებით ვაჭრობს. სამი შვილის დედა დილის შვიდი საათიდან საღამოს რვამდე რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ოჯახის სარჩენ ფულს შოულობს. მის გარდა სახლში არავინ მუშაობს, ამიტომ გარემოვაჭრეობას თავს არ ანებებს. მიუხედავად იმისა, რომ მერიამ კომერციული ფართის დაქირავება არაერთხელ შესთავაზა, ის მაინც უარზეა. მადონას თქმით, ყველაზე პატარა და მივარდნილ ადგილას დასაქირავებელი ფართი 500 დოლარი ღირს. ის დღეში მაქსიმუმ 20 დისკს ყიდის, რაც ოჯახს მხოლოდ ყოველდღიური საზრდოს ქონის საშუალებას აძლევს. „კომერციული ფართის გადასახდელ ქირას რომ დავუმატო სალარო აპარატის დადგმა, ასევე დისკების შემოტანა, იმდენი დამიჯდება, რომ მე ვერ გავწვდები", - ამბობს მადონა. მან იცის, რომ ეს კანონდარღვევაა და არც ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებს ამტყუნებს. „ეს მათი უფლებაა. ყველას ასე ექცევიან. მათ ჩვენ აქედან ნივთების ალაგება რომ არ მოგვთხოვონ, სამსახურიდან გაათავისუფლებენ", – ამბობს ის. ბევრჯერ მისთვის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელს დისკები ჩამოურთმევია. მადონა დააჯარიმეს კიდეც, მაგრამ არ აპირებს დისკების ალაგებას და ბაზარში შესვლას.

საუბარი მოულოდნელად ამტყდარმა ყვირილმა გაგვაწყვეტინა. ორი მამაკაცი ბანანის გამყიდველებს მივარდა. ერთ-ერთმა მათგანმა გამყიდველს ერთი ყუთი ბანანი ხელიდან გამოგლიჯა და გაიქცა. ბანანის გამყიდველები აქეთ-იქით გაიფანტნენ. მე ვცადე, ამ ორ კაცს დავწეოდი, მაგრამ ხალხში გაუჩინარდნენ. მალევე დავბრუნდი და დაზარალებულებს გავესაუბრე. მათი თქმით, სულ აფრთხილებენ, მაგრამ ისინი არ ემორჩილებიან. ბაზარში რომ შევიდნენ, თანხა უნდა გადაიხადონ. თანაც ვარაუდობენ, რომ შიგნით ბანანი არ გაეყიდებათ. ეს დარბევა და ბანანის წართმევა პირველი შემთხვევა არ ყოფილა. ამიტომ, ამის შემდეგ ჩვეულად განაგრძეს ბანანის გაყიდვა.

# „ევროპას 3 თვე დარჩა იმისათვის, რომ ევროს უშველოს"

მილიარდერი ჯორჯ სოროსი მიიჩნევს, რომ ევროპას 3 თვე დარჩა იმისათვის, რომ ერთიან ვალუტას – ევროს უშველოს.

– სამი თვის შემდეგ ბაზრებს ლოდინი მობეზრდებათ და ისინი მოითხოვენ უფრო მეტს, თუმც ხელისუფლება მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ვერ შეძლებს – აღნიშნა ჯორჯ სოროსმა.

ევროკავშირის სამიტზე, რომელიც ივნისის ბოლოს გაიმართება, სოროსის აზრით, მხოლოდ მინიმალური ქმედებები იქნება გატარებული კრიზისის დაძლევისკენ.

– ეს ღონისძიებები ვითარების მხოლოდ დროებით გაუმჯობესებას გამოიწვევს, – აღნიშნა მილიარდერმა.

სოროსი სკეპტიკურად უყურებს ასევე 17 ივნისს, საბერძნეთში დაგეგმილ არჩევნებს. მილიარდერის განმარტებით, ახალი მთავრობაც ვერ მოახერხებს სიტუაციის გაუმჯობესებას და „შემოდგომით საბერძნეთში კრიზისის კულმინაცია გველოდება".

სოროსის თქმით, შემოდგომით მნიშვნელოვნად შესუსტდება გერმანიის ეკონომიკა, და კანცლერ ანგელა მერკელს გაუჭირდება გერმანელების დარწმუნება იმაში, რომ ქვეყანამ ახალი ვალდებულებები აიღოს.

კრიზისისგან თავის დასაღწევად ჯორჯ სოროსს მიზანშეწონილად მიაჩნია, საბანკო დეპოზიტების დაზღვევა და იმავდროულად ბანკებმა ფინანსებზე წვდომა უნდა გაზარდონ.

ევრო ევროპის კავშირის ოფიციალური ვალუტა და ერთადერთი ფულადი ერთეულია 300 მილიონი ევროპელისთვის ევროგაერთიანების შემდეგ ქვეყნებში: ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, პორტუგალია, ესპანეთი და ესტონეთი, რომელსაც კოლექტიურად ევროზონასაც უწოდებენ. ორმხრივი შეთანხმებების შედეგად ევრო ასევე ოფიციალური ვალუტაა შემდეგი არა-წევრი ქვეყნებისთვის: მონაკო, სან-მარინო და ვატიკანი. ევრო დე-ფაქტო ვალუტაა ანდორაში, კოსოვოსა და მონტენეგროში.

ევრო მსოფლიო სავაჭრო ბაზრებზე როგორც საალრიცხვო ვალუტა შემოვიდა 1999 წელს, ფიზიკური ბანკნოტები და მონეტები კი შემოღებულ იქნა 2002 წელს. ევროგაერთიანების ყველა ქვეყანას აქვს უფლება შეუერთდეს ევროზონას იმ შემთხვევაში თუ ისინი პასუხობენ გარკვეულ მონეტარულ მოთხოვნებს, ევროს გამოყენება ვალდებულებაა ევროკავშირის ყველა ახალი წევრისთვისაც.

ევროს მართავს და ადმინისტრირებას უწევს ფრანკფურტში მდებარე ევროპის ცენტრალური ბანკი (ეცბ) და ევროპის ცენტრალურ ბანკთა სისტემა (რომელშიც წევრ ქვეყანათა ცენტრალური ბანკები შედის). როგორც დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი, ეცბ-ს ერთპიროვნული უფლება აქვს მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრის. ეცბს მონაწილეობს პანკნოტების ბეჭდვაში, მონეტების ჩამოსხმაში და მათ სისტემაში გავრცელებაში ყველა წევრ ქვეყანაში, ისევე როგორც ევროზონის საგადამხდელო სისტემის ფუნქციონირებაში.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

**განცხადება**

ყოველ ოთხშაბათს, 12 საათზე, 2012 წლის 13 ივნისიდან, ორთაჭალის ავტოვაგზლიდან რუსეთის ფედერაციის ფირმა შეასრულებს რეისებს მოსკოვის მიმართულებით.
მისამართი: ორთაჭალის ავტოსადგური, გულიას ქუჩა №1.

ტელ: 275-34-33; 275-30-07;
599-17-24-95; 595-54-53-23.

გენერალური დირექტორი: თ.ჯამრიშვილი

# გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილს და მის გუნდს ქართველი ხალხი გაასამართლებს"

შორენა კოწოწაშვილი

**გადატეხა თუ არა 27 მაისის აქციით ივანიშვილმა ხელისუფლება წელში, გასამართლდება თუ არა მოქმედი ხელისუფლება და ინარჩუნებს თუ არა კიდევ სააკაშვილი ამერიკელების მხარდაჭერას? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ამომრჩეველთა ლიგის" ერთ-ერთ დამფუძნებელ გოგა ხაინდრავასთან.**



*– ბატონო გოგა, საერთაშორისო პრესამ 27 მაისის აქციას განსხვავებული შეფასებები მისცა. თქვენ როგორ აფასებთ, თუნდაც ხალხის რაოდენობასთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობას?*

– საერთაშორისო შეფასებები არის ძალიან მოლიპული გზა. იმიტომ, რომ საერთოდ შეფასებები პოლიტიკური კონიუნქტურიდან კეთდება და არა სიმართლიდან. ისინი საკითხს იმ მხრიდან უდგებიან, როგორც თვითონ სჭირდებათ. ყველას გვახსოვს თბილისში 200 და 300 ათასიანი მიტინგები და მაშინ პოლიტიკური კონიუნქტურა კარნახობდა, რომ ეთქვათ, 10-20 ათასი კაცი იყოო. იპოდრომის მიტინგზე საერთაშორისო პრესაში ეწერა, 20 ათასი კაცი შეიკრიბაო. 28 მაისს „ვაშინგტონ პოსტში" დაიწერა 40 000 კაცი შეგროვდა თბილისშიო. ამას განსაკუთრებული კომენტარი აღარ სჭირდება. საერთაშორისო კონიუნქტურაც ძალიან სერიოზულად შეტრიალდა. სააკაშვილი, როგორც პოლიტიკური გვამი, ისე აღიქმება მთელ მსოფლიოში. ამას ყველა ხვდება. ამას მოწმობს აშშ-ში სააკაშვილის ბოლო ვიზიტი. უნივერსიტეტში და კერძო კომპანიებთან შეხვედრის მეტი სახელმწიფოს პირს რომ არ ექნება ერთკვირიანი ვიზიტის ფარგლებში, ეს იმას ნიშნავს, რომ მას არანაირი გავლენა და პატივისცემა არ აქვს საერთაშორისო არენაზე. ეს უკვე დიდი ხანია. გარკვეულწილად ლობისტური კომპანიები მუშაობენ, რაშიც ხელისუფლება ბიუჯეტიდან დიდ ფულს იხდის. მაგრამ როგორც გვამის რეანიმაცია არის შეუძლებელი, ასევე შეუძლებელია სააკაშვილის რეაბილიტაცია, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა. არა მგონია, საერთაშორისო გამოხმაურება იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი იმაზე, რაც 27-ში თბილისში მოხდა. ამ დღეს ფენიქსივით აღდგა საქართველო. ამ რაოდენობის ხალხს არ ველოდი. პრაქტიკულად მთელი თბილისი გამოვიდა. რაღაც კონკრეტულ მომენტში იდგა ვთქვათ 100 ათასი კაცი, მოძრაობდა და ამ პროცეში გაიარა ორჯერ მეტმა. მე გამოცდილება მაქვს ქუჩის აქციების და ვფიქრობ, მინიუმ 200 ათასი კაცი იყო გამოსული. ეს არის გარდამტეხი მომენტი. ყველა გრძნობს, ვითარება გადატყდა და თან ძალიან სერიოზულად. ყველას გვესმოდა, რომ სერიოზული პროცესი მიდიოდა, მაგრამ არ ჩანდა. კრიტიკულად განწყობილ პრესაში ოპოზიციის ნაწილი ამტკიცებდა, არაფერი ხდებაო, რადგან არაფერი ჩანდა. 27 მაისს კი გამოჩნდა, რომ ხდება და ხდება ძალიან სერიოზული პროცესი. ნაცმოძრაობას კარგად ესმის, რომ მათი მოღვაწეობა და საქმიანობა კრახით დამთავრდა და ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ელით. ყველა მათგანს ელოდება გამოძიება და ბევრ იმ ადამიანს, ვინც სახელმწიფო დანაშაულში მონაწილეობდა და ასეთი ადამიანი ბევრია, სერიოზული მსჯავრი ელოდებათ.

*– ფიქრობთ, რომ ახალი ხელისუფლება სააკაშვილის მმართველ გუნდს გაასამართლებს?*

– ქართველი ხალხი გაასამართლებს. არა მგონია, ქართველმა ხალხმა ამის შემდეგ ქვეყნის მართვის სადავეები ხელიდან გაუშვას. დამთავრდა საკუთარი ქვეყნისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. სამწუხაროდ, ყველაფერს ეს საზოგადოება ბელადს აბრალებდა, ყველა სიკეთეს მისგან ელოდა და ყველა შეცდომას იმას მიაწერდა. მთავარი შეცდომა ჩვენშია, რადგან უფლებას ვაძლევთ, ერთ კაცს ჩამოვკიდოთ მთელი ქვეყნის პასუხისმგებლობა, მაშინ, როდესაც ეს კაცი ჯანმრთელი არ არის.

*– მმართველი გუნდი ახალი ხელისუფლებისგან ხელშეუხებლობის გარანტიებს ვერ მიიღებს?*

– დარწმუნებული ვარ, ვერ მიიღებს. ვერანაირ პოლიტიკურ და ხელშეუხებლობის გარანტიებს ვერ მიიღებენ. ეს არის კანონის, სამართლის და კონსტიტუციის თემა და არა პიროვნებების თემა. მეორედ ეს საქართველოში აღარასოდეს განმეორდება. ჩვენ სამჯერ გავუშვით შანსი, რომ სიმართლე გვეთქვა იმაზე, რაზეც იყო დამოკიდებული ჩვენი აწმყო და რაც იყო წარსულში. მე ნათქვამი მაქვს, რომ საქართველოში უნდა შედგეს ნიურნბერგის პროცესი, ეს პროცესი აუცილებლად შედგება.

*– რადგან კონსტიტუცია ახსენეთ, ივანიშვილის ღია წერილის შემდეგ ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ახლა ივანიშვილი კარნახობს სააკაშვილს თამაშის წესებს.*

– ივანიშვილი პირველივე დღიდან ძალიან მიზანმიმართულად, ძალიან წყნარად, მშვიდად და გეგმაზომიერად ახორციელებდა თავის პროექტს. ივანიშვილმა დააზანზარა არა მარტო საქართველო, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობაც მიხვდა, რომ საქართველოში ძალიან სერიოზული პოლიტიკური ფიგურა გაჩნდა და სერიოზული შესაძლებლობების.

*– ივანიშვილმა დაამტკიცა, რომ სერიოზული პოლიტიკოსია? ამბობდნენ, ივანიშვილი პოლიტიკურ ფიგურად ვერ შედგაო.*

– რა თქმა უნდა, ივანიშვილი პოლიტიკოსად შედგა. მან ეს თვეები ძალიან ნაყოფიერად გამოიყენა და ბევრი ისწავლა. პოლიტიკურად გონიერი გზა აირჩია და მიუხედავად ძალიან მძაფრი კრიტიკისა, აირჩია ის გუნდი, რომელიც ამ პოლიტიკურ გზაზე იყო ყველაზე შესაფერისი შექმნილი ვითარებისთვის; იმ ვითარებისთვის, რომლის გაუთვალისწინებლობაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. აქ საერთაშორისო კონიუნქტურას ვგულისხმობ. როგორც ბოლო ნაბიჯები მეტყველებს, ივანიშვილი უახლოეს მომავალში ფაქტობრივად მთელ პოლიტიკურ სპექტრს გააერთიანებს საქართველოში. „სახალხო კრების" გუშინდელი ნაბიჯი მეტყველებს იმაზე, რომ დიდი გაერთიანება შედგა. არა პოლიტიკური გაერთიანება, არამედ გაერთიანება ბოროტების წინააღმდეგ და ამ კრიმინალური დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელმაც ძალაუფლების უზურპაცია მოახდინა. ეს გაერთიანება, ჩემის ღრმა რწმენით, უკვე შედგა. ახლა ცალკეული პოლიტიკური ფიგურები და ჯგუფები იმდენად მნიშვნელოვან როლს ამ საქმეში არ თამაშობენ. ეს მესამე ხარისხოვანი საკითხია. მთავარია, ერთობისკენ სწრაფვის სურვილი აღმოჩნდა ყველაში, რამდენიმე მარგინალური ჯგუფის გარდა.

*– რა დაანახვა თავისუფლების მოედანზე შეკრებული ხალხით ივანიშვილმა სააკაშვილს და მის გუნდს?*

– სრული კრახი დაანახვა სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილის. მერაბიშვილის, როგორც ხერხემლის და აი, ამ ბოროტების მანქანის, ამ ძალადობის მანქანის კრახი. ბიძინა ივანიშვილმა ნაწილებად დაშალა მერაბიშვილის, ადეიშვილის და სააკაშვილის ბოროტების მანქანა. ყველამ დაინახა, რომ ეს ძალიან დიდი ძალისხმევა, რომელიც მიმართული იყო იმისთვის, რომ დაეტკეპნათ ქართველი ხალხის ნება, ღირსება და ვაჟკაცობა; ის ყველაფერი, რაც წარსულში ყოველთვის საფუძველი იყო საქართველოს სახელმწიფოსი და განსაკუთრებით რწმენა, რომელსაც სააკაშვილ-ბოკერია-რამიშვილის ჯგუფმა გაშმაგებული ბრძოლა გამოუცხადა, პრაქტიკულად მთელი ეს წლები ჩვენ ვიყავით მოწმე პათოლოგიური ბრძოლის ქართული ეკლესიის წინააღმდეგ და რწმენის საფუძვლების წინააღმდეგ. გუშინდელმა დღემ დაამტკიცა, რომ ეს პოლიტიკა მთლიანად ჩამოიშალა და დაიმსხვრა.

*– 27 მაისის გამოსვლა მმართველი გუნდის რღვევის პროცესს დააჩქარებს?*

– კი არ დააჩქარებს, გუშინდელმა დღემ დაადასტურა, რომ რღვევა დაწყებულია. სააკაშვილი გარღვეულია აბსოლუტურად ყველა მიმართულებით. ის ძალადობაც არ არის მის ხელში, რომლითაც ცდილობდა, რომ ქვეყნის მართვის სადავეები ხელიდან არ გაეშვა.

*– ახალაიების კლანი და მათი გავლენა სამეგრელოში მართლა შესუსტდა, როგორც ირაკლი ალასანია აცხადებს?*

– ახალაიების კლანი არის ერთ-ერთი ნამსხვრევი იმ დიდი კლანური მმართველობისა, რასაც საბოლოოდ დაესმება წერტილი. ხელისუფლებას, რომელსაც ფარული შეხვედრების ჩატარება უწევს საკუთარ მოქალაქეებთან, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ხელისუფლებამ თავისი არგუმენტები მთლიანად გახარჯა. სააკაშვილ-მერაბიშვილის ძირითადი მითი – შიში დაინგრა. საქართველოში შიში არ არის. ამას ადრეც ვიძახდი. უბრალოდ, შესაფერისი პირობები და საბაბი არ იყო, რომ ქართველ ხალხს გამოევლინა თავისი ნება. ეს ვითარება ახლა შეიქმნა. აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა პოლიტიკურ ასპარეზზე ივანიშვილის გამოჩენამ.

*– ხელისუფლების ბრძოლის იარაღებს შორის ლიდერების დისკრედიტება აქტუალურია. ვეღარ მოახერხებს სააკაშვილი ივანიშვილის დისკრედიტებას?*

– ვერანაირად. რაც ვნახეთ, იგივე პრორუსულობასთან დაკავშირებით, იმდენად უსუსური იყო, რომ მგონი, თვითონაც არ სჯეროდათ იმის, რასაც ლაპარაკობდნენ. აგერ ვზივარ თქვენ წინ კაცი, რომელსაც დაატყდა მსგავსი ბინძური კამპანია, მაგრამ არაფერი დამკლებია, ნერვების მოშლის გარდა და ჩემი ოჯახის წევრების განცდების გარდა. ვერანაირი ბინძური პიარი ვერ მიეცხობა ივანიშვილს, რადგან ეს იყო აბსოლუტური სიყალბე. არის რაღაც მომენტი, რომლის მერე შხამი აღარ მუშაობს, აღარავინ აღარ იწამლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "გამამართლებელია განაჩენების მაჩვენებელი 10 პროცენტს აჭარბებს"

*"დღევანდელი პროცესი, რომელიც შეჯიბრებითობასა და თანასწორობაზეა დაფუძნებული სრულად იძლევა იმის საშუალებას, რომ თუ მხარე პროფესიონალია და კვალიფიციურია, საქმე მისი წარმატებით დასრულდს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს საქმეს, პროფესიონალი სასამართლო თუ საპროცესო შეთანხმება დამტკიცდება,"* - აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაზა მეიშვილი, რომელთან ვრცელ ინტერვიუსაც სასამართლო სისტემაში მიმდინარე სიახლეებზე ქვემოთ შემოგთავაზებთ.



**- ბატონო ზაზა, რას ნიშნავს შეჯიბრებითობის პრინციპი მართლმსაჯულებისთვის?**

- სამოქალაქო სამართალწარმოებაში ეს პრინციპი წლებია მოქმედებს, ნაწილობრივ ამ პრინციპით მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოებაც, თუ არ ჩავთვლით, ინკვიზიციურ მომენტებს. სისხლის სამართლის წარმოებისთვის კი შეჯიბრებითობა სიახლეა.

2010 წლის 1 ოქტომბრამდე, მანამდე, სანამ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი ამოქმედდა, რადიკალურად განსხვავებული სიტუაცია გვქონდა. გამოძიების პროცესში ბრალდების მხარე გაცილებით მეტი უფლებებით სარგებლობდა, ვიდრე დაცვის მხარე. მაგალითად, ბრალდების მხარეს ჰქონდა მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობა, დაცვის მხარე ამ მხრივ კი, შეზღუდული იყო. თუ ადვოკატს სურდა მოწმის დაკითხვა, ეს პროცედურა მხოლოდ ბრალდების თანხმობით უნდა განხორციელებულიყო. რაც შეეხება სასამართლო პროცესს. მხარეების მიერ მტკიცებულებების გამოკვლევისას, მოსამართლე ვალდებული იყო, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით შეეთავსებინა მხარეთა ფუნქცია და მტკიცებულებების გამოკვლევაში აქტიურად ჩართულიყო: შეეძლო მტკიცებულებები მოეპოვებინა, თავის სურვილით გამოეძახებინა, დაესვა შეკითხვები, დაეზუსტებინა ფაქტები, ნიშნავდა ექსპერტიზას, თავის ინიციატივით შეეძლო გამოეძახებინა და დაეკითხა მოწმე და ა.შ. ერთი სიტყვით, გვქონდა ვითომდა, შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული პროცესი, რომელიც რეალურად ინკვიზიციური გახლდათ. რადგანაც, სასამართლო ვალდებული იყო დადგინა რაღაც აბსტრაქტული ობიექტური ჭეშმარიტება, რაც ნიშნავდა იმას, რომ თუ მხარე თავის კომპეტენციის ფარგლებში ვერ მოქმედებდა, მოსამართლე ვალდებული იყო მხარის ფუნქცია შეეთავსებინა, სიღრმეებში შესულიყო და თავად გამხდარიყო ან პროკურორი ან დამცველი. ეს არღვევდა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის ძირითად არსს და, რაც მთავარია, იწვევდა მხარეების უკმაყოფილებას.

2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომლის მიხედვითაც, სამართალწარმოება მთლიანად გადავიდა შეჯიბრებითობაზე და რომელმაც ორივე მიმართულება - გამოძიებისა და სასამართლოს სტადია მოიცვა.

**- ანუ, შეჯიბრებითობის პრინციპი მოქმედებს გამოძიების სტადიაზეც?**

- რა თქმა უნდა. როგორც კი იწყება სისხლის სამართლებრივი დევნა, როცა პროცესში ბრალდების მხარესთან ერთად გაჩნდება დაცვის მხარე, პროცესი მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპით. გამოძიების ეტაპზე ორივე მხარეს მეტ-ნაკლები თანაბრობით აქვს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლება, მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობა. ზოგ შემთხვევაში, ერთ მხარეს აქვს უპირატესობა მინიჭებული, ზოგ შემთხვევაში, მეორე მხარეს. და, რაც მთავარია, სასამართლოში წარმატების მიღწევა მხარეთა კომპეტენციაზე, პროფესიონალიზმზე და ორატორობაზეა დამოკიდებული, რადგანაც, როცა მხარეები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე წარსდგებიან, კარგი ორატორებიც უნდა იყვნენ, ნაფიცები უნდა დაარწმუნონ თავიანთ პოზიციებში. ერთი სიტყვით, წინა პროცესისგან განსხვავებით, რის თაობაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, რადიკალურადაა შეცვლილი ახალი პროცესი და მოსამართლის როლი. მოსამართლე აღარაა ვალდებული, მეტიც, კანონი უკრძალავს შეითავსოს მხარის ფუნქციები, თავის ინიციატივით ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები.

**- უფრო კონკრეტულად, რა როლი აქვს მოსამართლეს შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებულ პროცესზე?**

- მოსამართლეს ძალზე მნიშვნელოვანი როლი აქვს, უზრუნველყოფს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვას ნებისმიერ სტადიაზე - გამოძიების თუ სასამართლო განხილვისას. სასამართლო ხელს უწყობს მხარეებს თავიანთი უფლებები განახორციელონ სრულყოფილად და კანონის დაცვით. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სამართლებრივ დავებზე, მაგალითად, შეკითხვის მოხსნაზე, მტკიცებულების დასაშვებობა-არდასაშვებობასთან დაკავშირებით, უფლების რეალიზაციაზე და ა.შ. მაგრამ არ მონაწილეობს მტკიცებულების გამოკვლევაში. მოსამართლე, როგორც ობიექტური არბიტრი, მხარეებს სთავაზობს სრულ თანასწორობას, უზრუნველყოფს მის დაცვას და საბოლოოდ, იღებს სამართლიან გადაწყვეტილებას. შეჯიბრებითი პროცესის დროს ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, ვინ უკეთ იქნება მომზადებული, რომელი მხარე წარმოადგენს მყარ მტკიცებულებებს, ვინ უკეთ დაასაბუთებს თავის პოზიციას და დაარწმუნებს მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულთა ჟიურის თავისი პოზიციის სისწორეში.

მოსამართლე საქმეს განიხილავს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, მხარეებს ეკისრებათ, როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი მტკიცების ტვირთი. მხარის წარმატებას განაპირობებს, მხოლოდ მისი პროფესიონალიზმი და მის მიერ წარდგენილი მყარი მტკიცებულებები. სასამართლოს ეკრძალება საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა მოძიება, ანუ მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტების და მტკიცებულებების შეჯერების საფუძველზე.

**- ანუ, შეჯიბრებით პროცესზე მთავარია მხარეების პროფესიონალიზმი და კვალიფიკაციაა?**

- როგორც გითხარით, ვერც ერთი მხარის ფუნქციას მოსამართლე ვერ შეითავსებს - მათ გასაკეთებელს სასამართლო ვერ გააკეთებს. მაგალითად, თუ პროკურორმა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს, პირს ბრალი სწორად ვერ წაუყენა, ვერ მოპოვა მყარი მტკიცებულებები, ვერ უზრუნველყო მათი სასამართლოში წარდგენა და გამოკვლევა, ვერ შეძლო მოსამართლის ან ნაფიც მსაჯულთა ჟიურის დარწმუნება, სახელმწიფო, საზოგადოება წაგებული დარჩება. იგივე ითქმის დაცვის მხარის შემთხვევაშიც. თუ მას პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია არ ექნება, ვერ შეძლებს საკუთარი პოზიციების დაცვას. სასამართლო ადვოკატის ფუნქციას ვერ შეითავსებს.

აქვე სათქმელია, რომ დაცვის მხარეს უფლება აქვს პასიური პოზიცია აირჩიოს და არ ამტკიცოს პირის უდანაშაულობა, არ წარადგინოს მტკიცებულებები, ბრალდებულმა გამოიყენოს დუმილის უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ არ მიიჩნევს თავს დამნაშავედ. ანუ ტაქტიკის შერჩევა დაცვის მხარის უფლებაა. განსხვავებულ სიტუაციაშია ბრალდების მხარე. ბრალდების მხარეს აკისრია ვალდებულება მტკიცებულებებით დაადასტუროს მის მიერ პირისთვის წარდგენილი ბრალი. სასამართლოს უნდა დაუმტკიცოს, რომ პირმა მართლაც ჩაიდინა დანაშაული. თუ ბრალდების მხარე არ იქნება თავის პოზიციებში მყარი, არ ექნება საკმარისი მტკიცებულებები, გამამტყუნებელი განაჩენი არ გამოვა. ამიტომაც, ბრალდების მხარეს უფრო მეტი ვალდებულება და პასუხისმგებლობა აკისრია პროცესზე.

**- ადვოკატებისგან ხშირად მოისმენთ პრეტენზიას, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი რეალურად არ მოქმედებს.**

- საკანონმდებლო დონეზე მხარეების შეჯიბრებითობა და თანასწორობა გარანტირებულია და კანონმდებლობას რადიკალურად კრიტიკულად განწყობილი ადვოკატებიც კი ვერ იწუნებენ, ამიტომაც, პრობლემა ამ მხრივ, არ არსებობს. რაც შეეხება პრაქტიკას. წელიწადნახევარია რაც შეჯიბრებითობის პრინციპი საქართველოში მოქმედებს, პრაქტიკაზე საუბარი ამ ეტაპზე ძნელია, თუმცა შესაძლებელია საუბარი ტენდენციებზე.

თუ მხარე ვერ აგროვებს მტკიცებულებებს, არ არის აქტიური, კანონით მინიჭებულ უფლებებს არ იყენებს, როგორც გითხარით, სასამართლო უძლურია - მოსამართლე ვერავის ფუნქციას ვერ შეითავსებს და ვერავის სასარგებლო გადაწყვეტილებას ვერ გამოიტანს.

მაგალითისთვის გეტყვით, დაცვის მხარეს კანონით შეუძლია შემთხვევის ადგილის დათვალიერება, მაგრამ სამწუხაროდ, 100-დან შეიძლება მხოლოდ სამ შემთხვევაში გავიდეს ადვოკატი შემთხვევის ადგილზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევაში, დაცვის მხარე არ არის აქტიური და არ იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებებს. ამიტომაც, არასწორი პრაქტიკა თუ ვითარდება, ეს არ არის სასამართლოს ბრალი და მის განვითარებაში დიდი როლი დაცვის მხარესაც აკისრია. არ მინდა ძალიან კრიტიკული ვიყო, მაგრამ ობიექტურად გეტყვით, რომ ხშირ შემთხვევაში, დაცვა ძალზე არაპროფესიონალურად და არაკომპეტენტურად მოქმედებს. სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზეც კი, დაცვის მხარის მიერ დაშვებული უხეში შეცდომები, რაც, არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, ძალზე თვალშისაცემია. მოსამართლეები რა თქმა უნდა, ხედავენ ხარვეზებს, მაგრამ ვერ ჩაერევიან. თუ მხარის მიერ დაშვებული შეცდომის გაუსწორებლობას სასამართლოს აბრალებენ, რა თქმა უნდა, არასწორია.

მაგალითისთვის, საინტერესო ფაქტს გავიხსენებ. სასამართლოს აქვს მხოლოდ და მხოლოდ საგამონაკლისო წესით შეკითხვის დასმის უფლება, შეკითხვა უნდა იყოს დამაზუსტებელი და აუცილებლად მხარეებთან შეთანხმებული. ცოტა ხნის წინ სხვადასხვა ორგანიზაციებმა ჩაატარეს გამოკითხვები და აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში, მოსამართლის მიერ დასმულ დამაზუსტებელ შეკითხვაზე თანხმობას აცხადებს ორივე მხარე, რადგანაც, მათ მოლოდინი აქვთ, რომ სასამართლო შეასრულებს მათ ფუნქციას და თუ რაიმე შეცდომა დაუშვეს ამ დროს გამოჩნდება და გასწორდება ხარვეზი.

შეჯიბრებითობის და თანასწორობის სისტემა დაფუძნებულია მხარეთა კვალიფიკაციაზე, პროფესიონალიზმზე, კეთილსინდისიერებაზე და მხარეების ეს პროფესიული მახასიათებლები ქმნიან და ავითარებენ ამ სისტემას. ნურავის ექნება ილუზია, რომ ამ პრაქტიკის განვითარებას მხოლოდ სასამართლო უნდა ეცადოს, ადვოკატურაც მართლმსაჯულების შემადგენელი ნაწილია და თუ რომელიმე რგოლი ვერ განვითარდა, შესაბამისად, სრულყოფილად ვერ განვითარდება სისტემა. ამიტომაც, თუ რომელიმე ადვოკატი პრეტენზიას გამოთქვამს, აცხადებს, რომ მას არ აქვს საკუთარი უფლებების რეალიზების საშუალება, აჯობებს, პირველ რიგში, საკუთარ თავში ეძებოს პრობლემის მიზეზი და მოაგვაროს ის.

აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარემ თბილისის საქალაქო სასამართლოში თავის პოზიციების წარმოდგენა ელექტრონულ ფორმატში დაიწყო და ძალზე მომზადებულები მოდიან პროცესზე. სასამართლო ტექნიკურად საუცხოოდაა გამართული და ძალზე გაგვეხარდება თუ ადვოკატებიც ასე მომზადებულები მოვლენ სასამართლოში. ახლა 21-ე საუკუნეა და ქაღალდის წარმოება წარსულს ბარდება.

მართალია, პირადად არ ვესწრებოდი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ გაიმართა, მაგრამ მედიით და საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციებით ცხადი გახდა, რომ მხარეთა კომპეტენცია თანაბარი არ იყო. აღმოჩნდა, რომ ბრალდების მხარე გაცილებით ძლიერი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარეს თანაბარი სასტარტო პირობები ჰქონდა. მანამდე, სანამ კანონი ამოქმედდებოდა, ერთი წელი მოსამზადებელ პერიოდად სპეციალურად გავითვალისწინეთ. ახალი პროცესისთვის ემზადებოდა სასამართლო, პროკურატურა, იურიდიული დახმარების სამსახური, რასაც ვერ ვიტყვი დამოუკიდებელი კორპორაციის ბევრ წარმომადგენელზე და ეს ნათლად გამოჩნდა ნაფიც მსაჯულთა პროცესებზე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შეჯიბრებითობის გვირგვინია, გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოება და მათთან კომუნიკაციისთვის გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანია მტკიცებულებების სიმყარე, აუცილებელია ორატორობაც. განსხვავებით პროფესიონალი სასამართლოსგან, მხარეებს შეუძლიათ, კარგი გაგებით ემოციური ზემოქმედება მოახდინონ ნაფიცებზე. ამ ორმა სასამართლო პროცესმა აჩვენა, რომ დაცვის მხარემ თავი სათანადოდ ვერ წარმოადგინა. ვიმეორებ, ეს არ არის ჩემი მოსაზრება, ამას აცხადებენ, ჟურნალისტები, სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და მათ ნათქვამში ეჭვის შეტანა ძნელია. ამ ორმა პროცესმა ნათლად დაგვანახა შეჯიბრებითობის პრინციპის უპირატესობა, საზოგადოებამ დაინახა რას ნიშნავს მხარეების შეჯიბრებითობა და თანასწორობა.

**- რას იტყვით საპროცესო შეთანხმებაზე? ადვოკატები პრეტენზიას აცხადებენ იმაზეც, რომ საქმეთა უმეტესობა საპროცესო შეთანხმებით სრულდება და რომ ისინი მხოლოდ საპროცესო გარიგების ხელისმომწერები გახდნენ.**

- საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი შეჯიბრებითი პროცესის იდეასაც გულისხმობს. როგორც გითხარით, შეჯიბრებითობა გულისხმობს იმას, რომ მხარეები, რომლებსაც სხვადასხვა პოზიციები გააჩნიათ, ერთმანეთს ფაქტებითა და მტკიცებულებებით ეჯიბრებიან საკუთარი პოზიციების დამტკიცებაში. იმ შემთხვევაში, როცა მხარე - ბრალდებული, მეორე მხარის - ბრალდების პოზიციას ეთანხმება და მას აღიარებს, პროცესი მარტივდება. ეს ნიშნავს იმას, რომ მხარეები თანხმდებიან, როგორც ბრალზე, ასევე, სასჯელზე და სასამართლო ამოწმებს მის კანონიერებას და სამართლიანობას.

საპროცესო გარიგება არის მხარეების შეთანხმება, მათი კომუნიკაცია და პოზიციების დაახლოება. ამიტომაც, ჩემთვის გაუგებარია, ადვოკატების პრეტენზია. თუ ეს, არ არის მათი პოზიცია, რატომ ადასტურებენ? ასეთი განცხადება წინააღმდეგობაში მოდის პროფესიონალიზმთან, კეთილსინდისიერებასთან და არაეთიკურია.

რომ ნახოთ საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეები, ყველა შემთხვევაში, განაცხადი გაკეთებული აქვს ბრალდებულს. საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას, მხარეა ბრალდებული, რომელსაც იურიდიულ კონსულტაციას უწევს ადვოკატი. თუ ბრალდებულს ვინმე აიძულებს საპროცესო შეთანხმების დადებას, არსებობს ბერკეტები, რომელიც ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ბრალდებულის უფლებების დასაცავად.

პროკურატურასა და ბრალდებულს შორის საპროცესო გარიგების პირობებზე შეთანხმების შემდეგ, საქმე გადადის სასამართლოში, მოსამართლე ამოწმებს ყველა გარემოებას: ხომ არ მომხდარა იძულება, ზეწოლა და ა.შ. თუ ბრალდებული გამოთქვამს პრეტენზიას, რა თქმა უნდა, მოსამართლე არ დაამტკიცებს შეთანხმებას. გარდა ამისა, დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების საშუალებაც არსებობს. იყო შემთხვევები, როცა ბრალდებულებმა, რომლებმაც საპროცესო შეთანხმება მოითხოვეს, მოგვიანებით გაასაჩივრეს ეს პროცედურა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოთხოვნის გარდა, მათი საჩივარი მტკიცებულებებზე არ იყო დაყრდნობილი.

მომიხმენია ასეთი პრეტენზიაც, რომ ყველა საქმე სრულდება საპატიმრო განაჩენით და რომ გამამართლებელი განაჩენები იშვიათია. ამ მოსაზრებასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები, არსებობს სტატისტიკა, რომელიც ნებისმიერ განცხადებაზე მყარია. 2012 წლის 3 თვის სტატისტიკით, არსებითად განხილული საქმეებზე გამოტანილი განაჩენების 7 პროცენტზე მეტი გამამართლებელი იყო. ანუ, 100-დან 7 ადამიანზე მეტი გამართლდა. ამას თუ დავუმატებთ ნაწილობრივ გამართლებას და შეწყვეტილ საქმეებს, გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი 10 პროცენტს აჭარბებს. როგორც ვიცი, აპრილ-მაისის თვეში გამამართლებელი განაჩენების ზრდის ტენდენცია შეინიშნება. აღსანიშნავია, რომ ბევრ ევროპულ ქვეყანაში გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი გაცილებით დაბალია - 1-2 პროცენტი.

თუ ვინმეს სურს, ყოველი მეორე ადამიანი გამართლდეს, ეს სამართლებრივი კატასტროფა იქნება. ასეთ შემთხვევაში, გამოვა, რომ ბრალდების მხარე სათანადოდ არ მუშაობს, უდანაშაულო ადამიანებს აპატიმრებს ან სასამართლო კორუფციულ გარიგებაში შედის მხარესთან და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმებით მიღწეული შედეგიც საკმაო წარმატებაა. თუ ბრალდებულმა 15 წლის ნაცვლად, მხარესთან შეთანხმების საფუძველზე 7 წელი მიიღო, ეს არ არის გამარჯვება? აღსანიშნავია, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში საპროცესო შეთანხმება საკმაოდ მიღებული მეთოდია და საქმეების დიდი ნაწილი სწორედ ამგვარად სრულდება. ჩვენი მსგავსი მოდელი მუშაობს აშშ-ში, სადაც 98 პროცენტამდეა ასული საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების მაჩვენებელი. საქმეების მხოლოდ 2-3 პროცენტია განხილული არსებითად და შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ეს რიცხვი კიდევ კლებულობს.

**- კიდევ ერთ პრეტენზიას გამოთქვამენ, რომ საპროცესო შეთანხმება მხოლოდ ჯარიმებზეა ორინენტირებული, რათა ბიუჯეტში თანხები შევიდეს.**

- ესეც არასწორია. მე არ ვიცი საპროცესო შეთანხმებების შედეგად ბიუჯეტში რა რაოდენობის თანხები შევიდა, თუმცა, ზუსტად შემიძლია თქმა, რომ საგრძნობლადაა გაზრდილი ჯარიმის გარეშე დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებების რიცხვი.

დღევანდელი პროცესი, რომელიც შეჯიბრებითობასა და თანასწორობაზეა დაფუძნებული სრულად იძლევა იმის საშუალებას, რომ თუ მხარე პროფესიონალია და კვალიფიციურია, საქმე მისი წარმატებით დასრულდს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს საქმეს, პროფესიონალი სასამართლო თუ საპროცესო შეთანხმება დამტკიცდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასამართლომ მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული 5 პირი გაამართლა

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა 5 ბრალდებულს, რომელთაც ბრალი ედებოდათ მძიმე კატეგორიის ჯგუფური დანაშაულის - ქურდობის ჩადენაში. "თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის" სამსახურის თანამშრომლებისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით წაყენებული ბრალდება, ოთხიდან შვიდ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა.



ოლეგ რობაქიძის, გოჩა დევიძის, მანუჩარ ყაზაიშვილის, ზურაბ გაბრიაძისა და თემურ აბულაძის საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 2012 წლის 3 აპრილს, დაახლოებით 3 საათზე, იმყოფებოდნენ თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთში გამავალ საავტომობილო გზაზე, სადაც ფარულად დაეუფლნენ გზის განაპირა მხარეს დადებულ, ზურაბ ბოგვერაძის კუთვნილ ქვა-ღორღის გადამამუშავებელი დანადგარის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მათ მოათავსეს ოლეგ რობაქიძის ავტომანქანაში და იმავე დღეს ჩააბარეს ქალაქ ზესტაფონში მდებარე შპს "მეგალაინის" ჯართის მიმღებ პუნქტში.

სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე ბრალდებულებმა - ოლეგ რობაქიძემ, გოჩა დევიძემ, მანუჩარ ყაზაიშვილმა, ზურაბ გაბრიაძემ და თემურ აბულაძემ თავი არ ცნეს დამნაშავედ და მოითხოვეს გამართლება.

სასამართლო გამოძიების დროს ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ აღმოჩნდა საკმარისი ბრალდებულების დამნაშავედ ცნობისათვის, რის გამოც,

სასამართლომ ბრალდებულები ოლეგ რობაქიძე, გოჩა დევბიძე, მანუჩარ ყაზაიშვილი, ზურაბ გაბრიაძე და თემურ აბულაძე უდანაშაულოდ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და გაამართლა.

გამამართლებელი განაცენი გამოიტანა გორის რაიონულმა სასამართლომაც.

მიხეილ სურამელს გამოძიებამ ბრალი წარუდგინა სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია), რაც სასჯელად ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებო შრომას ვადით ასიდან ას ოთხმოც საათამდე, ,გამასწორებულ სამუშაობს .ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთიდან სამ წლამდე.

გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით ბრალდებულ მიხეილ სურამელს აღკვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა გირაო. წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხა დაშვებული იქნა საქმის არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულებები, რომლებიც მხარეებმა სადავოდ გახადეს.

საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეული იქნა სადავო მტკიცებულებები. ვინაიდან, სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ვერც ერთმა მოწმემ ვერ დაადასტურა ბრალდებულის მიერ სხვისი ნივთის დაზიანება, ამავე დროს წარმოდგენილი იქნა სასამართლო-სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, დაზარალებულისადმი მიყენებული ქონებრივი ზიანი არის 144 ლარი, სასამართლომ ჩათვალა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი და უტყუარი მიხეილ სურამელის ბრალის დასადასტურებლად. ამასთან, ზიანის ოდენობიდან გამომდინარე, გამოირიცხა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები და მიხეილ სურამელი გაამართლა წარდგენილ ბრალდებაში.

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენაში ბრალდებული კარლო ლომინაშვილი კი მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ცნო უდანაშაულოდ. მისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილით ბრალდება სასჯელად ითვალისწინებდა ჯარიმას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე, გამასწორებელ სამუშაოს ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ორ წლამდე.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ქეთევან ბარბაქაძე მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა მცხეთაში, დედათა მონასტრის წინ არსებულ სკვერში, სადაც დაუდგენელმა პირმა მოპარა "სამსუნგი"-ს ფირმის მობილური ტელეფონი. მობილური ტელეფონი, მისი კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე, შეიძინა თბილისში მცხოვრებმა კარლო ლომინაშვილმა, რომლითაც იგი სარგებლობდა გარკვეული დროის განმავლობაში.

საქმის არსებითი განხილვისას დაიკითხნენ ბრალდებისა და დაცვის მოწმეები, გამოკვლეული იქნა სხვა მტკიცებულებები და კარლო ლომინაშვილი მცხეთის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვასილ მშვენიერაძის მიერ გამოტანილი განაჩენით გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ იასონ კაპანაძის, მერაბი კაპანაძის, ნიკოლოზ ნოზაძის და ზურაბ მაღრაძის საქმე განიხილა. მათ ბრალი ედებოდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში.

ბრალდების მიხედვით, იასონ კაპანაძე, მარაბ კაპანაძე, ნიკოლოზ ნოზაძე და ზურაბ მაღრაძე გამოძიებით დაუდგენელი ადგილიდან ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ 300 მმ დიამეტრის 12 მეტრი სიგრძის 1230 კგ ოდენობით ლითონის მილებს, რომელიც ჩააბარეს ლითონის მიმღებ პუნქტში, ხოლო აღებული თანხა, რამაც შეადგინა 468 ლარი მოიხმარეს პირადი საჭიროებისათვის.

საქმის არსებით განხილვისას ბრალდებულებმა არ ცნეს თავი დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განმარტეს, რომ ლითონის მილები იყო ნიკოლოზ ნოზაძის საკუთრება და ნიკოლოზ ნოზაძის სურვილით ჩააბარეს ჯართის მიმღებ პუნქტში.

სასამართლომ ბრალდებულების მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებების, ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების მხარის მიერ საქმეზე არ იყო დადგენილი დაზარალებული ჩათვალა, რომ წარმდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდებოდა ბრალდება. შესაბამისად, სასამართლომ ოთხივე ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

# გერმანელი მინისტრები სტუმრად უზენაეს სასამართლოში

უზენაეს სასამართლოში გამართული ოფიციალური ღონისძიებით დასრულდა დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოში.




უზენაეს სასამართლოში გამართულ საზეიმო მიღებაზე ხელი მოეწერა ქართულ და გერმანულ მხარეებს შორის პარტნიორობის შესახებ განცხადებას.

დრეზდენის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეები და ფედერალური მინისტრები თბილისში რამდენიმე დღე იმყოფებოდნენ და საქართველოს სასამართლო სისტემაში ჩატარებული რეფორმის შედეგებს გაეცნენ.

ხელმოწერის ცერემონიას უზენაეს სასამართლოში საქსონიის მხარის იუსტიციისა და ევროპისათვის სახელმწიფო მინისტრი იურგენ მარტენსი, ასევე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური მინისტრი დირკ ნიბელი და დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს პრეზიდენტი ულრიხ ჰაგენლოხი დაესწრნენ.

გერმანელი მოსამართლეებისა და მინისტრების ვიზიტი ქართულ მხარესთან პარტნიორობის გაღრმავებასა და ურთიერთთანამშრომლობას ისახავს მიზნად.

ვიზიტი გერმანია-საქართველოს მეგობრული ურთიერთობების 20 წლისთავს მიეძღვნა.

# მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კანდიდატთა შერჩევის ელექტრონული პროგრამის პრეზენტაცია

სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში"საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებული, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კანდიდატთა შერჩევის ელექტრონული პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა.

ალნიშნული პროგრამა შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ, "მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროგრამასთან" (JILEP) თანამშრომლობით.

პროგრამის პრეზენტაციაზე მიწვეული იყვნენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და წევრები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და აპარატის თანამშრომლები, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები და მისიები, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, პრეზენტაციას ასევე დაესწრნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები, ომბუდსმენის ოფისი, ტელევიზიისა და პრესის წარმომადგენლები და სხვა სტუმრები.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კანდიდატთა შერჩევის ელექტრონული პროგრამა უზრუნველყოფს, როგორც მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ელექტრონულ ფორმატში ჩატარებას, ასევე მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესის გამარტივებას. ელექტრონული სისტემის შექმნის მიზანს წარმოადგენდა ზემოაღნიშნული პროცესების გამჭირვალეობისა და ობიექტურობის უფრო მაღალი ხარისხის მიღწევა, ხელმისაწვდომობის გაზრდა, ინტერაქტიულობა, ადამიანური და მატერიალური რესურსების შემცირება.

ასევე, შეიქმნა მეტად მოსახერხებელი და ინტერაქტიული "აპლიკანტის პორტალი", რომლის მეშვეობითაც, დაინტერესებული პირები მიიღებენ ინფორმაციას მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნისა და მოსამართლეობის თანამდებობაზე და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მისაღებად გამოცხადებული კონკურსების შესახებ.

# ამერიკა ირანთან გამიჯვნას არ გვთხოვს

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ნიკოლოზ ვაშაკიძემ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვიზიტზე ისაუბრა.**

საგარეო უწყება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტის პროგრამას აკონკრეტებს. როგორც ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნიკოლოზ ვაშაკიძემ განაცხადა, ჰილარი კლინტონი ბათუმში საქართველოს პრეზიდენტს, ასევე პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურსა და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდება.

ასევე ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო მდივანი ნიკა გილაურთან ერთად, საქართველო-ამერიკის ქარტიის სხდომის თანათავმჯდომარე იქნება.

— საუბარი შეეხება საკითხთა ფართო სპექტრს, იქიდან გამომდინარე, რომ ქარტია გულისხმობს მრავალი მიმართულებით თანამშრომლობას, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოების ფართო სპექტრთან დისკუსიას საქართველოში მიმდინარე პროცესებთან და არჩევნებთან დაკავშირებით, — განაცხადა ნიკოლოზ ვაშაკიძემ.

მინისტრის მოადგილის განმარტებით, ჰილარი კლინტონის ვიზიტის ფარგლებში შედგება ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ქარტიის ფარგლებში შექმნილი თავდაცვისა და უსაფრთხოების, დემოკრატიისა და მმართველობის, ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის და ხალხთაშორისი და კულტურული გაცვლების სამუშაო ჯგუფების შეხვედრები. ნიკოლოზ ვაშაკიძემ აღნიშნა, რომ ჰილარი კლინტონის ვიზიტისას საქართველო-ირანის ურთიერთობის თემაზე განსაკუთრებული ფოკუსირება არ მოხდება.

— საქართველოს ირანთან ურთიერთობა აქვს იმ სფეროში, რომელიც საერთაშორისო რეჟიმით დაშვებულია და ამასთან დაკავშირებით პრობლემები არავის არ აქვს. ეს სფეროებია — ეკონომიკის შესაბამისი მიმართულებები, კულტურული თანამშრომლობა, თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში და ა.შ. ამ საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო არენაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა პერიოდულად იმართება ხოლმე, მათ შორის საქართველოსთან. ეს არის ჩვეულებრივი ყოველდღიური სამუშაო



პროცესი და განსაკუთრებული კონსულტაციები და ფოკუსირება ამ თემაზე, როგორც ეს რამდენიმე დღის წინ მედიაში მოხდა, მიზანშეწონილი არაა, — აღნიშნა ნიკოლოზ ვაშაკიძემ.

მინისტრის პირველი მოადგილის განმარტებით, ქართული მხარისთვის არავის უთხოვია, რომ ირანთან ურთიერთობების დისტანცირება მოახდინოს.

— იმ სფეროებში, რომელშიც საქართველო ირანთან კანონზომიერად თანამშრომლობს, ქართული მხარისთვის არავის უთხოვია, რომ თეირანთან მისი დისტანცირება მოახდინოს, — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

საგარეო უწყებაში ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის საკითხზე დიალოგი დაიწყო.

ვაშაკიძის განმარტებით, დიალოგის დაწყება მნიშვნელოვანია, რადგან ის შესაბამისი სამოქმედო გეგმის აღსრულების საფუძველზე, სამომავლოდ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღებას ითვალისწინებს.

საგარეო უწყების ინფორმაციით, 7-8 ივნისს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მე-20 რაუნდი გაიმართება, რომელსაც ქართული მხრიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძე უხელმძღვანელებს.

— მეორე სამუშაო ჯგუფი, აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების ფუნდამენტური უფლების უზრუნველყოფის აუცილებელ პირობებს განიხილავს. იგივე ჯგუფი იმსჯელებს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანების უფლებებისა და მათ შორის საოკუპაციო ხაზიდან თავისუფალი გადაადგილების კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობაზე. ასევე უკანასკნელ პერიოდში რუსეთის მიერ განხორციელებულ პროვოკაციულ ქმედებებზე, მათ შორის, 4 მაისს განხორციელებული ტერორისტული აქტის მცდელობაზე, — განაცხადა ნიკოლოზ ვაშაკიძემ და დასძინა, რომ ჟენევის მოლაპარაკებების საინფორმაციო სესიის ფარგლებში ოკუპაციის თემის განხილვა იგეგმება.

ვაშაძის უწყება თურქულ სახელმძღვანელოებში ბათუმის შესახებ არსებულ ინფორმაციაზეც აკეთებს კომენტარს. როგორც კომენტარიდან ირკვევა, აღნიშნულ ინფორმაციას საგარეო უწყება სწავლობს.

ნიკოლოზ ვაშაკიძის განმარტებით, ამ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ეტაპისთვის სწავლობს.

— ვფიქრობ, თურქეთის ვიცე-პრემიერმა ბულენტ არინჩიმ საკმაოდ სწორი რეაგირება მოახდინა ამ საკითხზე, ბუნებრივია, ამ საკითხს ვსწავლობთ და ვფიქრობთ, რომ აქ რეალობა აჟიოტაჟის ტემპერატურას ნაკლებად შეესაბამება. დეტალებისგან თავს შევიკავებ, ვიდრე დაწვრილებითი ინფორმაცია არ გვექნება, — განაცხადა ვაშაკიძემ.

აღნიშნული აჟიოტაჟი ცოტა ხნის წინ გავრცელებულ ინფორმაციას მოყვა, რომლის მიხედვითაც თურქეთში მე-11 კლასელებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში წერია, რომ ბათუმი ისტორიულად თურქეთის ტერიტორია იყო, რომელიც ახლა „საქართველოს აქვს მიტაცებული". თუმცა, საქართველოში ცოტა ხნის წინ ვიზიტად მყოფი თურქეთის წარმომადგენელი აცხადებს, რომ მსგავსი რამ თუ წერია თურქეთის ისტორიის სახელმძღვანელოში, მისთვის უცნობია.

# ამომრჩეველს პოლიტიკოსების დებატების ხილვის საშუალება უნდა ჰქონდეს

ნათია ხურცილავა

**კამპანია „ეს შენ გეხება" მონაწილეებმა გუშინ საინფორმაციო აქცია გამართეს. მეტროსადგურ „რუსთაველთან" აქციის მონაწილეებმა ბუკლეტები დაარიგეს და გამვლელებს იმ მოთხოვნების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია, რომელიც მათ აქვთ და საზოგადოების წარმომადგენლებს ეხებათ, როგორც თავად კამპანიის წარმომადგენლები აცხადებენ.**

კამპანია „ეს შენ გეხება" არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან, ჰილარი კლინტონთან აპირებენ შეხვედრას.

როგორც ცნობილია, სწორედ ამ შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერები ახლად ინიცირებული კანონპროექტის შესახებ დასვამენ საკითხს.

ქართული პრესა კამპანიის — „ეს შენ გეხება"—ს საკანონმდებლო ინიციატივას სოლიდარობას უცხადებს.

„მინდა, ვუყურო ყველა ქართულ ტელეარხს! დააკანონე მასტ ქერი და მასტ ოფფერი!" — ამ წარწერით გამოვიდა ქართული გაზეთების უმრავლესობა.

პლურალისტური მედიაგარემოს ხელმისაწვდომობის მიზნით, „ეს შენ გეხება" პარლამენტისგან მედიის საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში პრინციპების — მასტ ქერისა და მასტ ოფფერ-ის დანერგვას ითხოვს. აღნიშნულთან დაკავშირებით კამპანიის მონაწილე ორგანიზაციებმა პარლამენტს საკანონმდებლო პაკეტიც წარუდგინეს.

კამპანიის მონაწილეები აცხადებენ, რომ აღნიშნული კანონი დაავალდებულებს სამაუწყებლო-საკაბელო კომპანიებს, უზრუნველყონ მათ ქსელში ყველა ტელევიზიის მაუწყებლობა. შესაბამისად, ეს დაავალდებულებს ტელევიზიებს, ისარგებლონ ყველა საკაბელო კომპანიის მომსახურებით.

ეს შენ გეხება

კამპანიის მონაწილეებმა რამდენიმე დღის წინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, ჰილარი კლინტონსაც მიმართეს და საკანონმდებლო წინადადებების მხარდაჭერისკენ მოუწოდეს. კამპანიის — „ეს შენ გეხება"-ს მონაწილე არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებმა საზოგადოებას არჩევნების სამართლიანად ჩატარებისთვის აუცილებელ გარემოებებთან დაკავშირებით საინფორმაციო აქცია გამართეს.

კამპანიის მონაწილეთა ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუშინ მეტროსადგურ „რუსთაველთან" შეიკრიბა.

კამპანიის წარმომადგენლებმა საინფორმაციო ბუკლეტები დაარიგეს, სადაც ყურადღება ოთხ ძირითად მიმართულებაზეა გამახვილებული.

კამპანიის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ სწორი არჩევანის გასაკეთებლად, ამომრჩეველმა პირველ რიგში უნდა მიიღოს ინფორმაცია, რისთვისაც აუცილებელია, რომ ყველა საკაბელო ოპერატორმა ყველა ქართული არხის სიგნალი გადასცეს.

ასევე, „ეს შენ გეხებას"-ს მონაწილეები აცხადებენ, რომ ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს პოლიტიკოსების ტელედებატების ხილვის შესაძლებლობა. გარდა ამისა, არ უნდა მოხდეს ამომრჩეველზე ზეწოლა, მისი მოსყიდვა, არჩევნების შემდეგ კი ხმები სწორად უნდა დაითვალონ. როგორც კამპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, საინფორმაციო ტიპის აქციების გარდა, ისინი ამ საკითხებზე საუბრობენ პრესის და ტელევიზიების საშუალებით. ასევე, აქტიურად მართავენ შეხვედრებს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან და მათგან აქვთ მხარდაჭერა.

იმ შემთხვევაში, თუ იქნება მეტი საზოგადოებრივი ინტერესი და აქტიურობა, კამპანიის ორგანიზატორები იმედს გამოთქვამენ, რომ მათი საკანონმდებლო ინიციატივები დამტკიცდება და არჩევნები შედარებით ობიექტურ გარემოში ჩაივლის.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.მ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ვიგირავებ ვაკეში 2 ან 3 ოთახიან კარგად მოწყობილ ბინას. ტელ:. 298-95-47

● შევიძენ ვაკეში 2 ან 3 ოთახიან გარემონტებულ ბინას 100 000-ის ფარგლებში. ტელ:. 294-53-20

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ:2-96-67-03;595-35-64-13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანაბარი ჯგუფი, თანაბარი შანსებით

8 ივნისს, თბილისის დროით 20 საათზე, ვარშავაში, პოლონელები საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდებიან და ამ მატჩით ევროპის 2012 წლის ჩემპიონატი გაიხსნება.

ჩემპიონატის დაწყებამდე გვინდა გაგაცნოთ ყველა მონაწილე გუნდი ჯგუფების მიხედვით. დავიწყებთ პირველი ჯგუფით.

## ა ჯგუფი

### პოლონეთი

*ადგილი ფიფა-ს რეიტინგში: 65*

პოლონეთის ფეხბურთის ასოციაცია დაარდა 1919 წელს. ფიფას წევრია 1923 წლიდან, ხოლო უეფასი – 1955 წლიდან. ამჟამად ფედერაციის პრეზიდენტი პოლონური ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გჟეგოჟ ლატოა.

ნაკრების ფერებია წითელი, თეთრი. აქედან გამომდინარეობს მათივე მეტსახელები – თეთრ-წითლები, თეთრი არწივები.

პირველი მატჩი 1921 წლის 18 დეკემბერს უნგრეთის ნაკრებთან გამართეს და 0:1 დამარცხდნენ. ყველაზე დიდი ანგარიშით მოგება 2009 წლის 1 აპრილს სან მარინოსთან აქვთ მოპოვებული – 10:0, ხოლო ყველაზე დიდი ანგარიშით 1948 წლის 26 ივნისს დანიასთან დამარცხებულან – 0:8.

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ჩატარებული აქვთ მიხალ ზევლაკოვს (102), გჟეგოჟ ლატოს (100), კაზიმირ დეინას (97). ყველაზე მეტი გოლი კი ვლოძიმეჟ ლუბანსკის (48), გჟეგორჟ ლატოსა (45) და კაზიმიჟ დეინას (41) აქვთ გატანილი.

პოლონელებს ურიგო მიღწევები არ აქვთ. 1974 და 1982 წლებში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატებზე მესამე ადგილზე გავიდნენ, 1972 წელს ოლიმპიური ოქრო აქვთ მოპოვებული, ხოლო ამავე ტურნირზე 1976 და 1992 წლებში ბრინჯაოს მედლები.

**პროგნოზი**

რას შეიძლება ველოდოთ პოლონეთის ნაკრებისგან ევროპის ჩემპიონატზე? არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინი ამ ტურნირის ერთ-ერთი მასპინძლები არიან. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ ამით რაიმე დახმარებას გაუწევენ. მშობლიური სტადიონები აუცილებლად დაეხმარებათ, რომ მინიმუმ პლეი ოფში ითამაშონ.

პოლონელები საკმაოდ თანაბრად დაკომპლექტებულ ჯგუფში მოხვდნენ. მასპინძლებს მეტოქეების დამარცხების პოტენციალი ნამდვილად აქვთ. მათ შემადგენლობაში ევროპის წამყვან ჩემპიონატებში მონაწილე არაერთი ფეხბურთელი თამაშობს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ დორტმუნდელები, რომლებსაც გერმანიის ჩემპიონატის ზედიზედ მეორედ მოგების შემდეგ, გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩამოუყალიბდათ. კარგი სეზონი ჰქონდა ამჟამინდელი შემადგენლობის საუკეთესო ბომბარდირს, რობერტ ლევანდოვსკის, რომელმაც ბუნდესლიგაში ჩატარებულ 34 თამაშში 22 გოლი გაიტანა.

საინტერესოა, რომ პოლონეთის ნაკრები, რომელსაც ისტორიაში არაერთი წარმატებისთვის მიუღწევია, ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ მეორედ ითამაშებს.

**შედეგები ევროპის ჩემპიონატზე:**

**2008**

**ჯგუფური ეტაპი**

გერმანია-პოლონეთი 2:0
ავსტრია-პოლონეთი 1:1
პოლონეთი-ხორვატია 0:1

სულ: 3 მატჩი, 1 ფრე, 2 მარცხი, ბურთები 1:4, მე-14 ადგილი

**გზა ევროპის ჩემპიონატამდე**

მასპინძლები

კალენდარი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე

8 ივნისი: პოლონეთი-საბერძნეთი; 12 ივნისი: პოლონეთი-რუსეთი; 16 ივნისი: ჩეხეთი-პოლონეთი.

შემადგენლობა:

**მეკარეები:**

1.ვოიცეხ სჩესნი (არსენალი, ინგლისი); 12.გჟეგოჟ სანდომერსკი (იაგელონია); 22.პრჟემისლავ ტიტონი (პსვ, ჰოლანდია);

**მცველები:**

2.სებასტიან ბენიში (ვერდერი, გერმანია); 3.გრჟეგორჟ ვოიტოვიაკი (ლეხი); 4.მარცინ კამინსკი (ლეხი); 13.მარსინ ვასილევსკი (ანდერლეხტი, ბელგია); 14.იაკუნ ვავჟინიაკი (ლეგია); 15.დამიენ პარკისი (სოშო, საფრანგეთი); 20.ლუკაშ პიშჩეკი (დორტმუნდი, გერმანია);

**ნახევარმცველები:**

5.დარიუშ დუდკა (ოსერი, საფრანგეთი); 6.ადამ მატუშჩიკი (ფორტუნა, გერმანია); 7.ეუგენ პოლანსკი (მაინცი, გერმანია); 8.მაცეი რიბუსი (ტერეკი, რუსეთი); 10.ლუდოვიკ ობრანიაკი (ბორდო, საფრანგეთი); 11.რაფალ მურავსკი (ლეხი); 16.იაკუბ ბლაშჩიკოვსკი (დორტმუნდი, გერმანია); 18.ადრიან მიერზეჟევსკი (ტრაბზონსპორი, თურქეთი); 19.რაფალ ვოლსკი (ლეგია); 21.კამილ გროსიცკი (სივასპორი, თურქეთი);

**თავდამსხმელები:**

9.რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი, გერმანია); 17.არტურ სობეში (ჰანოვერი, გერმანია); 23.პაველ ბროჟეკი (სელტიკი, შოტლანდია)

მთავარი მწვრთნელი: ფრანციჟეკ ჟმუდა

### საბერძნეთი

*ადგილი ფიფა-ს რეიტინგში: 14*

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია დაარსებულია 1926 წელს. ფიფას წევრია 1927 წლიდან, ხოლო უეფასი – 1954 წლიდან.

ნაკრების ფერებია თეთრი, ლურჯი. ელინებმა პირველი მატჩი 1929 წლის 7 აპრილს იტალიასთან გამართეს და 1:4 დამარცხდნენ. ყველაზე დიდი მოგება აქტივში 1949 წლის 25 ნოემბერს სირიასთან აქვთ – 8:0. ყველაზე დიდი მარცხი 1938 წლის 25 მარტს უნგრეთთან – 1:11.

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი თეოდოროს ზაგორაკისს (120), გიორგიოს კარაგუნისსა (115) და ანგელოს ბასინასს (100) აქვთ ჩატარებული, ხოლო მეგოლეებში ნიკოს ანასტოპულოსი (29), ანგელოს ხარისტეასი (25) და დიმიტრის სავარაკოსი (22) გამოირჩევიან.

ელინების უმთავრესი და ერთადერთი მიღწევა აქამდე მხოლოდ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მოგებაა. სულ კი ევროპირველობაზე აქამდე 3-ჯერ უთამაშიათ. აქედან გამომდინარე საბერძნეთის ნაკრები ევროპული ფეხბურთის გრანდებს შორის არასდროს მოიაზრებოდა.

**პროგნოზი**

ფიფას რეიტინგში ადგილით, ბერძნები მეოთხედფინალზე მაინც აცხადებენ პრეტენზიას. კარგად დაწყობილი დაცვა ჰყავთ, რასაც ვერ ვიტყვით მეკარეზე. შეტევაშიც ორდინალური კარაგუნისი გამოირჩევა, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ ნაკრებს შეუქმნას პრობლემები.

**შედეგები ევროპის ჩემპიონატზე**

**1980**

**ჯგუფური ეტაპი**

ჰოლანდია-საბერძნეთი 1:0
საბერძნეთი-ჩეხოსლოვაკია 1:3
საბერძნეთი-დასავლეთგერმანია 0:0

სულ: 3 თამაში, 1 ფრე, 2 წაგება, ბურთები 1:4, მე-8 ადგილი

**2004**

**ჯგუფური ეტაპი**

პორტუგალია-საბერძნეთი 1:2
საბერძნეთი-ესპანეთი 1:1
რუსეთი-საბერძნეთი 2:1

**მეოთხედფინალი**

საფრანგეთი-საბერძნეთი 0:1

**ნახევარფინალი**

საბერძნეთი-ჩეხეთი 1:0 (დდ)

**ფინალი**

პორტუგალია-საბერძნეთი 0:1

სულ: 6 თამაში, 4 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება, ბურთები 7:4, 1 ადგილი

**2008**

**ჯგუფური ეტაპი**

საბერძნეთი-შვედეთი 0:2
საბერძნეთი-რუსეთი 0:1
საბერძნეთი-ესპანეთი 1:2

სულ: 3 თამაში, 3 წაგება, ბურთები 1:5, მე-16 ადგილი

**გზა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატამდე**

საბერძნეთი-საქართველო 1:1; ხორვატია-საბერძნეთი 0:0; საბერძნეთი-ლატვია 1:0; საბერძნეთი-ისრაელი 2:1; მალტა-საბერძნეთი 0:1; საბერძნეთი-მალტა 3:1; ისრაელი-საბერძნეთი 0:1; ლატვია-საბერძნეთი 1:1; საბერძნეთი-ხორვატია 2:0; საქართველო-საბერძნეთი 1:2.

**კალენდარი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე**

8 ივნისი: პოლონეთი-საბერძნეთი; 12 ივნისი: საბერძნეთი-ჩეხეთი; 16 ივნისი: საბერძნეთი-რუსეთი.

შემადგენლობა

**მეკარეები:**

1.კოსტას ხალკიასი (პაოკი); 12.ალექსანდროს ცორვასი (პალერმო, იტალია); 13.მიხალის სიფაკისი (არისი);




**მცველები:**

2.იანის მანიატისი (ოლიმპიაკოსი); 3.გიორგოს ცაველასი (მონაკო, საფრანგეთი); 4.სტელიოს მალეზასი (პაოკი); 5.კირიაკოს პაპადოპულოსი (შალკე, გერმანია); 6.ავრაამ პაპადოპულოსი (ოლიმპიაკოსი); 15.ვასილის ტოროსიდისი (ოლიმპიაკოსი); 19.სოკრატის პაპასტატოპულოსი (ვერდერი, გერმანია); 20.ხოსე ოლებასი (ოლიმპიაკოსი)

**ნახევარმცველები:**

6.გრიგორის მაკოსი (აეკი); 10.გიორგოს კარაგუნისი (პანათინაიკოსი); 16.გიორგოს ფოტაკისი (პაოკი); 18.სოტირის ნინისი (პანათინაიკოსი); 21.კოსტას კაცურანისი (პანათინაიკოსი); 22.კოსტას ფორტუნისი (კაიზერი, გერმანია); 23.იანის ფეტფაციდისი (ოლიმპიაკოსი);

**თავდამსხმელები:**

7.გიორგოს სამარასი (სელტიკი, შოტლანდია); 9.ნიკოს ლიბეროპულოსი (აეკი); 11.კოსტას მიტროღლუ (ატრომიტოსი); 14.დიმიტრის სალპიგიდისი (პაოკი); 17.თეოფანის გეკასი (სამსუნი, თურქეთი).

მთავარი მწვრთნელი: ფერნანდუ სანტუში (პორტუგალია)

### რუსეთი (საბჭოთა კავშირი)

*ადგილი ფიფა-ს რეიტინგში: 11*

რუსეთის ფეხბურთის კავშირი დაარსებულია 1912 წელს. იმავე წელს გახდა ფიფას წევრი, ხოლო უეფასი 1954 წელს.

ნაკრების ფერებია წითელი, თეთრი და ლურჯი. პირველი მატჩი 1912 წლის 30 ივნისს ფინეთთან გამართეს და 1:2 დამარცხდნენ. ყველაზე დიდი მოგება 1995 წლის 7 ივნისს სან მარინოსთან მიითვალეს – 7:0, ხოლო ყველაზე დიდი მარცხი 1912 წლის 1 ივლისს გერმანიასთან განიცადეს – 0:16.

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ვიქტორ ონოპკოს (109), სერგეი იგნაშევიჩსა (72) და ვალერი კარპინს (72) აქვთ ჩატარებული. ყველაზე მეტი გოლი კი ვლადიმირ ბესჩასტნიხმა (26), რომან პავლიუჩენკომ (20), ალექსანდრ კერჟაკოვმა (17) გიტანეს.

მიღწევები მხოლოდ საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდა, სამართალმემკვიდრე რუსეთის ნაკრები კი ვერაფრით დაიკვეხნის. საბჭოური მიღწევები კი ურიგო ნამდვილად არ არის – ევროპის ჩემპიონი 1960 წელს და მე-2 ადგილები 1964, 1972 და 1988 წლებში.

**პროგნოზი**

დიკ ადვოკაატის გუნდი ა ჯგუფის ფავორიტად ითვლება. თუმცა, რუსები სერიოზული მიზნებისთვის ვერ იბრძოლებენ. ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში მათ „სიკვდილის ჯგუფიდან“ რომელიმე ძლიერ გუნდთან მოუწევთ დაჯახება და ნაკლებ სავარაუდოა წინა ევროპის ჩემპიონატის შედეგი გააუმჯობესონ.

**შედეგები ევროპის ჩემპიონატზე**

**1960**

**პირველი ეტაპი**

სსრკ-უნგრეთი 4:1 (3:1, 1:0)

**მეოთხედფინალი**

საბჭოთა კავშირი-ესპანეთი (ტექნიკური მოგება)

**ნახევარფინალი**

ჩეხოსლოვაკია-სსრკ 0:3

**ფინალი**

სსრკ-იუგოსლავია 2:1 (დდ)

სულ: 4 თამაში, 4 მოგება, ბურთები 9:2, 1 ადგილი

**1964**

**ნახევარფინალი**

დანია-სსრკ 0:3

**ფინალი**

ესპანეთი-სსრკ 2:1

სულ: 2 თამაში, 1 მოგება, 1 წაგება, ბურთები 4:2, მე-2 ადგილი

**1968**

**ნახევარფინალი**

სსრკ-იტალია 0:0 (მონეტის აგდების შემდეგ, ფინალში იტალია გავიდა)

**მატჩი მე-3 ადგილისთვის**

ინგლისი-სსრკ 2:0

სულ: 2 თამაში, 2 წაგება, ბურთები 0:2, მე-4 ადგილი

**1972**

**ნახევარფინალი**

უნგრეთი-სსრკ 0:1

**ფინალი**

გფრ-სსრკ 3:0

სულ: 2 თამაში, 1 მოგება, 1 წაგება, ბურთები 1:3, მე-2 ადგილი

**1988**

**ჯგუფური ეტაპი**

ჰოლანდია-სსრკ 0:1; ირლანდია-სსრკ 1:1; ინგლისი-სსრკ 1:3

**ნახევარფინალი**

იტალია-სსრკ 0:2

**ფინალი**

ჰოლანდია-სსრკ 2:0

სულ: 5 თამაში, 3 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება, ბურთები 7:4, მე-2 ადგილი

**1992**

**ჯგუფური ეტაპი**

დსთ-გერმანია 1:1; ჰოლანდია-დსთ 0:0; შოტლანდია-დსთ 3:0

სულ: 3 თამაში, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები 1:4, მე-8 ადგილი

**1996**

**ჯგუფური ეტაპი**

იტალია-რუსეთი 2:1; რუსეთი-გერმანია 0:3; რუსეთი-ჩეხეთი 3:3

სულ: 3 თამაში, 1 ფრე, 2 წაგება, ბურთები 4:8, მე-14 ადგილი

**2004**

**ჯგუფური ეტაპი**

ესპანეთი-რუსეთი 1:0; რუსეთი-პორტუგალია 0:2; რუსეთი-საბერძნეთი 2:1

სულ: 3 თამაში, 1 მოგება, 2 წაგება, ბურთები 2:4, მე-10 ადგილი

**2008**

**ჯგუფური ეტაპი**

ესპანეთი-რუსეთი 4:1; საბერძნეთი-რუსეთი 0:1; რუსეთი-შვედეთი 2:0

**მეოთხედფინალი**

ჰოლანდია-რუსეთი 1:3

**ნახევარფინალი**

რუსეთი-ესპანეთი 0:3

სულ: 5 თამაში, 3 მოგება, 2 წაგება, ბურთები 7:8, მე-3 ადგილი

**გზა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატამდე**

ანდორა-რუსეთი 0:2; რუსეთი-სლოვაკეთი 0:1; ირლანდია-რუსეთი 2:3; მაკედონია-რუსეთი 0:1; სომხეთი-რუსეთი 0:0; რუსეთი-სომხეთი 3:1; რუსეთი-მაკედონია 1:0; რუსეთი-ირლანდია 0:0; სლოვაკეთი-რუსეთი 0:1; რუსეთი-ანდორა 6:0

სულ: 10 თამაში, 7 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები 17:4, 23 ქულა, 1 ადგილი

**კალენდარი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე**

8 ივნისი – რუსეთი-ჩეხეთი
12 ივნისი – პოლონეთი-რუსეთი
16 ივნისი – საბერძნეთი-რუსეთი

შემადგენლობა

**მეკარეები:**

1.იგორ აკინფეევი (ცსკა); 13.ანტონ შუნინი (დინამო); 16.ვიაჩესლავ მალაფეევი (ზენიტი);

**მცველები:**

2.ალექსანდრ ანიუკოვი (ზენიტი); 3.რომან შარონოვი (რუბინი); 4.სერგეი იგნაშევიჩი (ცსკა); 5.იური ჟირკოვი (ანჟი); 12.ალექსეი ბერეზუცკი (ცსკა); 15.დმიტრი კომბაროვი (სპარტაკი); 19.ვლადიმირ გრანატი (დინამო); 21.კირილ ნაბაბკინი (ცსკა);

**ნახევარმცველები:**

6.რომან შიროკოვი (ზენიტი); 7.იგორ დენისოვი (ზენიტი); 8.კონსტანტინ ზირიანოვი (ზენიტი); 9.მარატ იზმაილოვი (სპორტინგი, პორტუგალია); 17.ალან ძაგოევი (ცსკა); 22.დენის გლუშაკოვი (ლოკომოტივი); 23.იგორ სემშოვი (დინამო)

**თავდამსხმელები**

10.ანდრეი არშავინი (ზენიტი); 11.ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი); 14.რომან პავლიუჩენკო (ლოკომოტივი); 18.ალექსანდრ კოკორინი (დინამო); 20.პაველ პოგრებნიაკი (ფულემი)

მთავარი მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი (ჰოლანდია)

### ჩეხეთი

*ადგილი ფიფა-ს რეიტინგში: 26*

ჩეხეთის ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა 1901 წელს. ფიფას წევრია 1907 წლიდან, ხოლო უეფასი – 1954 წლიდან. 1993-წლამდე ჩეხოსლოვაკიის სახელით გამოდიოდა, გაყოფის შემდეგ – ჩეხეთის.

ნაკრების ფერებია წითელი და თეთრი. მეტსახელები – სახალხო გუნდი, ლოკომოტივი

პირველი მატჩი 1920 წლის 28 აგვისტოს იუგოსლავიის ნაკრებთან გამართეს და 7:0 მოიგეს. ყველაზე დიდი მოგება 1968 წლის 18 ოქტომბერს, ტაილანდთან აქვთ – 8:0, ხოლო ყველაზე დიდი მარცხი 1937 წლის 19 სექტემბერს, უნგრეთთან – 3:8.

ყველაზე მეტი მატჩი კარელ პობორსკის (118), იან კოლერსა და პაველ ნედვედს (91– 91) აქვთ ჩატარებული. ბომბარდირები იან კოლერი (55), მილან ბაროში (39) და ანტონ პუჩი (35) არიან.

მიღწევები ჩეხოსლოვაკიის სახელით მსოფლიოს ჩემპიონატებზე მე-2 ადგილი (1934, 1962) აქვთ, ევროპის ჩემპიონატზე 1 ადგილი (1976) და მე-3 ადგილი (1960, 1980). ოლიმპიური ჩემპიონები 1980 წელს და ბრინჯაოს პრიზიორები 1960 წელს. ჩეხეთის სახელით მე-2 (1996) და მე-3 ადგილი (2004).

**პროგნოზი**

ერთი შეხედვით ჩეხები ჯგუფიდან გასვლის პრეტენდენტებად არ ითვლებიან, თუმცა მათი დაუფასებლობა ნებისმიერ გუნდს კარგს არაფერს მოუტანს. ჯგუფი ისედაც თანაბრად მიიჩნევა და მიხალ ბილეკის შეგირდებიც ამის იმედად არიან. განსაკუთრებით ეიმედებათ პეტერ ჩხის, რომელმაც ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა.

**შედეგები ევროპის ჩემპიონატზე**

**1960**

**ნახევარფინალი**

ჩეხოსლოვაკია-სსრკ 0:3

**მე-3 ადგილისთვის**

ჩეხოსლოვაკია-საფრანგეთი 2:0

სულ: 2 მატჩი, 1 მოგება, 1 წაგება ბურთები 2:3, მე-3 ადგილი

**1976**

**ნახევარფინალი**

ჩეხოსლოვაკია-ჰოლანდია 3:1

**ფინალი**

ჩეხოსლოვაკია-გფრ 2:2(5:3პ)

სულ: 2 მატჩი, 1 მოგება, 1 ფრე, ბურთები 5:3, 1 ადგილი

**1980**

**ჯგუფური ეტაპი**

ჩეხოსლოვაკია-გფრ 0:1; საბერძნეთი-ჩეხოსლოვაკია 1:3; ჰოლანდია-ჩეხოსლოვაკია 1:1

**მე-3 ადგილისთვის**

ჩეხოსლოვაკია-იტალია 1:1(9:8პ)

სულ: 4 მატჩი, 1 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები 5:4, მე-3 ადგილი

**1996**

**ჯგუფური ეტაპი**

გერმანია-ჩეხეთი 2:0; ჩეხეთი-იტალია 2:1; ჩეხეთი-რუსეთი 3:3

**მეოთხედფინალი**

ჩეხეთი-პორტუგალია 1:0

**ნახევარფინალი**

ჩეხეთი-საფრანგეთი 0:0(6:5პ)

**ფინალი**

გერმანია-ჩეხეთი 2:1(დდ)

სულ: 6 მატჩი, 2 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება, ბურთები 7:8, მე-2 ადგილი

**2000**

**ჯგუფური ეტაპი**

ჰოლანდია-ჩეხეთი 1:0; ჩეხეთი-საფრანგეთი 1:2; დანია-ჩეხეთი 0:2

სულ: 3 მატჩი, 1 მოგება, 2 წაგება, ბურთები 3:3, 10-ე ადგილი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# დედეტეს კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა

ეკა ირემაშვილი

მთაწმინდაზე დასრულდა კომპანია ალტერვიუენ გრუპის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „თბილის ოპენ ეარ 2012“, რომელშიც 8 უცხოური და 14 ქართული ჯგუფი მონაწილეობდა. წელს ფესტივალმა ლოკაცია შეიცვალა და იპოდრომიდან „თბილისი ველზე“ გადაინაცვლა, რომელიც მთაწმინდაზე მდებარეობს. ორდღიანმა ფესტივალმა გააერთიანა ავსტრალიის, გერმანიის, რუსეთის, ბელარუსის, ინგლისის, საფრანგეთის, შვედეთის და საქართველოს მუსიკოს-შემსრულებლები.

სპეციალურად ფესტივალისთვის „თბილისი ველზე“ აშენდა საფესტივალო ქალაქი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თავისი კვების ობიექტებით, ბარითა და სველი წერტილებით.

ფესტივალის ყედლაინერად მიჩნეული იყო რუსული საკულტო ჯგუფი დედეტე, რომელიც ერთ-ერთ უმთავრეს კულტურულ მოვლენად არის მიჩნეული პოსტსაბჭოთა სივრცეში, მას და მის სოლისტს იური შევჩუკს ჩატარებული აქვს 400-ზე მეტი პერფორმანსი რუსეთის წამყვან ფესტივალებზე, ასევე ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიდ სცენებზე, ჩაწერილი აქვთ 19 სტუდიური ალბომი, საიდანაც ოთხი მათგანი ყველა დროის რუსულ ტოპ 100-ეულ ალბომშია შესული. დედეტეს გამართული აქვს უამრავი საქველმოქმედო და პოლიტიკური ხასიათის აქცია-კონცერტი, მათგან ერთ-ერთი 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ გამართული კონცერტი „არ ისროლო“, რომელიც ოსებთან, ქართველებთან და უკრაინელებთან ერთად მომზადდა.



— მაშინ „ოლიმპიისკის“ სტადიონზე 25.000 ადამიანი შეიკრიბა. გვეშინოდა, არაფერი მომხდარიყო, თუმცა ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. ამ კონცერტში ასევე მონაწილეობდა ნინო ქათამაძე და როდესაც მან სიმღერა დაიწყო, ყველა გაჩუმდა. ხალხი ტიროდა. მე ომის მომხრე არ ვარ, მე მინდა, რომ კონფლიქტი დიპლომატიურად გადაწყდეს. ეს არის ჩემი გულწრფელი განაცხადი, — აღნიშნა იური შევჩუკმა სპეციალურად ქართველი ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე.

ლეგენდარული ჯგუფი დედეტე თბილისში პირველ ივნისს ჩამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ პრესკონფერენციაზე მკაცრად იკრძალებოდა პოლიტიკურ თემატიკაზე კითხვების დასმა, იური შევჩუკი თავად შეეხო პოლიტიკის თემას და განაცხადა, რომ ის ომის მომხრე არ არის და სურს, კონფლიქტი დიპლომატიური გზით მოგვარდეს.

დედეტეს კონცერტს „თბილისი ველზე“ ჯგუფის ათასობით გულშემატკივარი დაესწრო. მიუხედავად იმისა, რომ კონცერტის ქრონომეტრაჟი 45 წუთით იყო განსაზღვრული, თაყვანისმცემლების თხოვნით, ჯგუფს რამდენჯერმე მოუწია ცნობილი ჰიტების შესრულება, რის გამოც კონცერტი ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. თბილისი ველზე დაგეგმილ კონცერტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და თბილისის მერი გიგი უგულავაც ესწრებოდნენ.

დედეტეს სოლისტი მთელი კონცერტის განმავლობაში ხაზს უსვამდა, რომ ქართველ და რუსი ხალხს ერთმანეთთან განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებთ და დღეს ქვეყნებს შორის ურთიერთობებში არსებული ვითარება დროებითი და გამოსწორებადია.

ორდღიანი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „თბილის ოპენ ეარი“ სწორედ ლეგენდარული დედეტეს კონცერტით დაიხურა, იური შევჩუკმა პირობა დადო, რომ საქართველოში ისევ ჩამოვა და ეს ძალიან მალე მოხდება.

# „გამოფენა საქართველოზე“ პოლონეთშია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივისა და პოლონეთის სახელმწიფო არქივების ორგანიზებით ქალაქ ვარშავაში ღია ცის ქვეშ გამოფენა „საქართველო — წარსული და თანამედროვეობა“ გაიხსნა. ღონისძიება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა და მისი გახსნის პატივი ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორს თეონა იაშვილს ერგო. მასთან ერთად ექსპოზიცია დაინტერესებულ დამთვალიერებელს პოლონეთის სახელმწიფო არქივების ხელმძღვანელმა ვლადისლავ სტეპანიაკმა და საქართველოს ელჩმა პოლონეთში ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა წარუდგინეს.

— ამ ექსპოზიციაზე წარმოდგენილია როგორც ისტორიული ფოტოები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული, ისე საქართველოს ქალაქების, სხვადასხვა რეგიონის, კურორტების, ტრადიციების, ქართული ხელნაწერების, ხალხური ცეკვის, ეროვნული სამოსის, არქიტექტურის, ხუროთმოძღვრების ძეგლების, დღესასწაულებისა და თანამედროვე საქართველოს სხვა ღირსშესანიშნაობების ამსახველი ფოტომასალა. ექსპოზიცია მოიცავს დიმიტრი ერმაკოვის, ალექსანდრე როინაშვილის, ნიკოლოზ სალარაძის, ასევე, თანამედროვე ფოტოგრაფების — სერგო ედიშერაშვილის, გიორგი კვიციანაძის, გოგა ჩანადირის, გიორგი მეურმიშვილის, გურამ წიბახაშვილის ფოტოებს, — განაცხადა ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა.

ექსპოზიციას ვარშავის ძველ უბანში მდებარე პრეზიდენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიამ უმასპინძლა. გამოფენაზე წარმოდგენილმა ნამუშევრებმა პოლონური საზოგადოების მხრიდან უდიდესი დაინტერესება გამოიწვია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპოზიცია ივნისის თვიდან ქალაქებში — კრაკოვსა და ჩესტოხოვაში გადაინაცვლებს, სექტემბერში კი გამოფენა ქალაქ ვროცლავში შედგება.

პოლონეთში ვიზიტის ფარგლებში ეროვნული არქივის დელეგაცია, რომელსაც გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი ხელმძღვანელობდა, პოლონეთის სახელმწიფო არქივის დირექტორს ვლადისლავ სტეპნიაკს შეხვდა. არქივების ხელმძღვანელებმა მოილაპარაკეს დოკუმენტების დიგიტალიზაციისა და საარქივო სფეროში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების სფეროებში თანამშრომლობაზე. მიმდინარე წელს დაიწყება მუშაობა საქართველოსა და პოლონეთის სახელმწიფო არქივების მიერ ორი ქვეყნის ურთიერთობების ამსახველი დოკუმენტების თაობაზე ერთობლივი პუბლიკაციების მოსამზადებლად.

ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა პოლონეთში კიდევ რამდენიმე შეხვედრა გამართა. მათ შორის ვროცლავის არქივში, სადაც არქივის დირექტორმა ჯანუს გოლაჟევსკიმ სტუმრებს გააცნო ვროცლავის არქივის ორასწლიანი ისტორია და მათთან დაცული უნიკალური დოკუმენტები, დიგიტალიზაციის ცენტრისა და რესტავრაციის ლაბორატორიის მუშაობის პრინციპები.

— კრაკოვის ჩარტორისკის მუზეუმის ბიბლიოთეკაში ეროვნული არქივის დელეგაციამ დაათვალიერა აქ დაცული ორი ქართული ხელნაწერი — XI საუკუნისა და XII-XIII საუკუნეების სახარებები. ორივე დოკუმენტი პერგამენტზეა ნუსხური დამწერლობითაა

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# გიორგი უშიკიშვილი ეროვნულ პრემიას გასცემს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მინაციებში — საშემსრულებლო-შემოქმედებითი სფერო: ხალხური სიმღერის ან ხალხურ საკრავზე შემსრულებელი, ლოტბარი; ხალხური სიმღერის ანსამბლი; სახალხო მთქმელი; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატი; მოცეკვავე ან ქორეოგრაფი; ქორეოგრაფიული ანსამბლი. ნომინაცია სამეცნიერო-კვლევითი სფერო: მეცნიერ-მკვლევარი; ფოლკლორის შემკრებ-შემგროვებელი; ეთნოლოგ-ეთნომუსიკოლოგი; ქორეოლოგი.

როგორც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში განმარტავენ, პრემიის ლაურეატობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციას, საინიციატივო ჯგუფს (მინიმუმ ათი კაცის შემადგენლობით), პრემიის მიმნიჭებელი კომისიის წევრთა უმრავლესობას (არაუმცირეს სამი კაცისა). იმისათვის, რომ მსურველმა კონკურსში მიიღოს მონაწილეობა, საჭიროა კანდიდატის შემოქმედებითი ბიოგრაფია, ფოტო-აუდიო-ვიდეო მასალა, კომპეტენტური ორგანიზაციის ან პირის ორი რეკომენდაცია, წარდგენის წერილი, აფიშები, ბუკლეტები, სამეცნიერო შრომები და გამოცემები როგორც ბეჭდვითი, ასევე ვიდეო და აუდიო. განაცხადების მიღების ვადა 20 ივნისს იწურება. ფოლკლორის ეროვნული პრემია ფინანსდება ფოლკლორის მხარდაჭერის „საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს ფოლკლორის ცენტრმა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში „ქართული ხელოვნების საღამოების“ პროექტის ფარგლებში ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტს უმასპინძლა. ღონისძიების ორგანიზატორები ფოლკლორის ცენტრთან ერთად იყვნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზი და ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი.

— ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი სამი წელია შეიქმნა. ანსამბლის ბირთვი, ძირითადად, ახალგაზრდულია. ანსამბლის მთავარი პრიორიტეტია — ავთენტიკურობა, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ტრადიციული შემსრულებლობის დაცვა-შენარჩუნება, შესრულების საკუთარი მანერისა და სტილის ჩამოყალიბება, ძველი, მივიწყებული სიმღერების აღდგენა-გაცოცხლება, ყოფაში ჯერ კიდევ არსებული ქართული ხალხური ცეკვის ნიმუშებით ანსამბლის რეპერტუარის გამდიდრება აჭარის, რაჭისა და სვანეთის ფოლკლორით, — განაცხადა გიორგი უშიკიშვილმა.

ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სასიმღერო რეპერტუარის უმეტესობა ფოკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივიდანაა აღებული და დამუშავებული. ქართული ხალხური ცეკვები, განსაკუთრებით მივიწყებულ-გამქრალი ილეთები, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ჩატარებული ცეკვის მასტერკლასების დროს შეისწავლეს, ადგილებზეც მოიძიეს და ასე დადგეს და დაამკვიდრეს თავიანთ რეპერტუარში ხიხაძირელთა „ხორუმი“. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი დიდ საკონცერტო დარბაზში ორ საათს გაგრძელდა, სადაც ქუთათურებმა სიმღერისა და ცეკვის 23 ნიმუში წარმოადგინეს.

სპორტი

# თანაბარი ჯგუფი, თანაბარი შანსებით

დასაწყისი მე-9 გვერდზე

**2004**

**ჯგუფური ეტაპი**

ჩეხეთი-ლატვია 2:1; ჰოლანდია-ჩეხეთი 2:3; გერმანია-ჩეხეთი 1:2

**მეოთხედფინალი**

ჩეხეთი-დანია 3:0

*ნახევარფინალი საბერძნეთი-ჩეხეთი 1:0(დდ)*

სულ: 5 მატჩი, 4 მოგება, 1 წაგება, ბურთები 10:5

**2008**

**ჯგუფური ეტაპი**

შვეიცარია-ჩეხეთი 0:1; ჩეხეთი-პორტუგალია 1:3; თურქეთი-ჩეხეთი 3:2

სულ: 3 მატჩი, 1 მოგება, 2 მარცხი. ბურთები: 4:6

**ჩეხეთი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე**

8 ივნისი: რუსეთი-ჩეხეთი; 12 ივნისი; საბერძნეთი-ჩეხეთი; 16 ივნისი: ჩეხეთი-პოლონეთი

**შემადგენლობა**

**მეკარეები:**

1.პეტერ ჩეხი (ჩელსი, ინგლისი); 16.იან ლაშტუვკა (დნიპრო, უკრაინა); 23.იაროსლავ დრობნი (ჰამბურგი, გერმანია);

**მცველები:**

2.ტეოდორ სელასი (სლოვანი); 3.მიხალ კადლეცი (ლევერკუზენი, გერმანია); 4.მარეკ სუხი (სპარტაკი, რუსეთი); 5.რომან ჰუბნიკი (ჰერტა, გერმანია); 6.ტომაშ სივოკი (ბეშიქთაში, თურქეთი); 8.დავიდ ლიმბერსკი (პლზენი); 12.ფრანტიშეკ რაიტორალი (პლზენი);

**ნახევარმცველები**

10.ტომაშ როსიცკი (არსენალი, ინგლისი); 11.მილან პეტრჟელა (პლზენი); 13.იაროსლავ პლაშილი (ბორდო, საფრანგეთი); 14.ვაცლავ პილარი (პლზენი); 17.ტომაშ ჰიუბშმანი (შახტარი, უკრაინა); 18.დანიელ კოლარი (პლზენი); 19.პეტერ ირაშეკი (ვოლფსბურგი, გერმანია); 22 ვლადიმირ დარიდა (პლზენი)

**თავდამსხმელები:**

7.ტომაშ ნეციდი (ცსკა, რუსეთი); იან რეზეკი (ანორთოსისი, კვიპროსი); 15.მილან ბაროში (გალათასარაი, თურქეთი); 20.ტომაშ პეკჰარტი (ნიურნბერგი, გერმანია); 21დავიდ ლაფატა (იაბლონეცი, ჩეხეთი)

*მთავარი მწვრთნელი: მიხალ ბილეკი*

# ფედერაცია პროფლიგისა და ეთიკის კოდექსის ჩამოყალიბებას გეგმავს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბის შემდეგ სფფ-ს პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა.

**ზვიად სიჭინავა:**

— აღმასკომის სხდომაზე განვიხილეთ რამდენიმე საკითხი, მათ შორის სამ კლუბი გორის „დილას“, „გაგრას“ და მარტვილის „მერანის“ გაწევრიანების შესახებ. ასევე გია ფირცხალავას დაევალა პროფესიული ფეხბურთის ლიგის ჩამოყალიბება, რომელიც 1 ივლისამდე უნდა იქნას სისრულეში მოყვანილი. იგი შეხვდება კლუბების წარმომადგენლებს და პფლ-ის შესახებ გააკეთებს შემოთავაზებას, რომელსაც სფფ განიხილავს. ფედერაციაში იმყოფებოდა ბუბა ტყავაძე. ჩვენ განვიხილეთ „ზესტაფონის“ მხრიდან შემოსული წერილი, აღმასკომმა გადაწყვიტა, რომ 1 ივლისამდე იურიდიულმა კომიტეტმა გაამზადოს ეთიკური კოდექსი. მსგავსი ორგანო სფფ-ში აქამდე არ იყო, ფიფაში არსებობს, რომელიც განიხილავს სადავო ფაქტებს, ჩვენ მათ გამოცდილებას გავიზიარებთ. 1 ივლისს, როცა შეიქმნება ეთიკის კოდექსი, ის ჯგუფი განიხილავს წერილს და ნახავს თამაშების ვიდეოჩანაწერებს, ამის შემდეგ მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას. სხვა საკითხებს რაც შეეხება, ვისაუბრეთ საპრიზო ფონდზე და განვიხილეთ, მომავალ წელს როგორ უნდა მოხდეს მისი გადანაწილება. ჩვენ გავითვალისწინეთ კლუბებისა და ჟურნალისტების აზრი, აღმასკომმა დააკმაყოფილა ეს მოთხოვნები.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*



# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სასარგებლო წიაღისეულის, მადნის მოპოვებისა და დამუშავების ადგილი; 2. არმიის, ფლოტის მეთაურთა შემადგენლობის პირი; 3. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 5. სატანვარჯიშო იარაღი; 9. ლეშის მჭამელი აფრიკული ცხოველი; 10. შეხედულება, თვალსაზრისი, რომლითაც განიხილავენ საგნებს, მოვლენებს; 14. ოფიცერი, რომელიც განაგებს ჯარისა და სამხედრო დაწესებულების მომარაგებას სურსათით, ტანისამოსით და სხვა არასაბრძოლო ნივთებით; 15. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 16. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 19. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 20. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 21. მომენტალური ლატარიის ძველებური სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. საერთაშორისო ხელშეკრულების დაკანონება; 7. ატმოსფეროში სწრაფად მოძრავი გავარვარებული კოსმოსური სხეული; 8. დამოუკიდებელ ფერმერთა დასახლება ისრაელში; 11. ქართველი მწერალი; 12. სპორტული სირბილი წინაღობათა გადალახვით; 13. მდინარე ნიუ-იორკში; 17. უბანი პარიზში; 18. ბევრი ენის მცოდნე ადამიანი; 22. ოქროსფერში ამოვლებული ძაფი; 23. ახალი წლის სახელწოდება გურიაში; 24. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 25. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. ინდიგო; 5. მაკარონი; 6. კირხე; 7. აპარატი; 8. ათლეტი; 10. „სარკე“; 13. ნაგანი; 15. ლუსტრა; 16. დარი; 17. პიცა; 20. ნადირი; 21. პიმები; 22. კალვილი; 23. იქედნე.

**შვეულად:** 1. დიზაინი; 2. ნაფთალინი; 3. პირამიდა; 4. იმპორტი; 5. მარანი; 9. ტატამი; 11. კადრილი; 12. პარადი; 14. გრანული; 18. ალალი; 19. სირია.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ძუა; 2. ხმა; 3. რომი; 4. უხა; 5. მორფემა; 6. ამტანი; 7. ტარაბუა; 8. აქტი; 9. იიპე; 10. ფხა; 11. ჩაი; 12. მონარქი; 13. პარამარიბო; 14. ჰარპია; 15. პენ; 16. ოსაკა; 17. კონტაქტი; 18. მოჰიკანი; 19. პროსტატა; 20. კამუფლაჟი; 21. ფარაონი; 22. ჟენევა; 23. ისინდი; 24. პაემანი; 25. აია; 26. ბუი; 27. არ; 28. ვარდი; 29. მარაბუ; 30. მთა; 31. ნაბლა; 32. ალური.

**სურათებზე:** ჯულია ორმონდი; რობერ პირესი.

# სირია ტოტალური ომისკენ მიექანება



სირიაში გაერო-სა და არაბეთის სახელმწიფოების ლიგის სპეცწარგზავნილმა კოფი ანანმა მსოფლიო გააფრთხილა, რომ ქვეყანა ტოტალური ომისკენ მიექანება.

მისი თქმით, ომის საფრთხე იზრდება დღითი დღე.

სირიაში შექმნილი ვითარება მოითხოვს პრეზიდენტ ბაშარ ასადის წასვლას, ამის შესახებ კი პარიზში ფრანსუა ოლანდმა ვლადიმერ პუტინთან ერთად გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა.

სირიის ოპოზიცია მიიჩნევს, რომ რუსეთი ხელს არ უწყობს კრიზისის დარეგულირებას და ასადის ხელისუფლებას უჭერს მხარს.

ჰულას სისხლიანი მოვლენების შემდეგ სირიის გამათავისუფლებელი არმიის წარმომადგენლებმა ეჭვქვეშ დააყენეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული შეთანხმების რეალურობა და განაცხადეს, რომ ამიერიდან შეუძლებელი იქნება პირობების დაცვა, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ არ იქნება გარანტირებული მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვა.

ამ ფონზე, სირიაში მკვლელობები გრძელდება, თუნდაც გაერო-ს დამკვირვებლების მეთვალყურეობის მიუხედავად, რაც ანანის გეგმის სრულ ჩავარდნაზე მეტყველებს, აცხადებენ სირიელი ოპოზიციონერები.

სირიის ანტისამთავრობო აქციების მონაწილეთა განცხადებით, გასული წლის მარტიდან სირიაში 15 ათასზე მეტი ადამიანია დაღუპული.

# ყარაბაღში ორი სომეხი ჯარისკაცი მოკლეს




მთიანი ყარაბაღის რეგიონში გასულ ღამეს აზერბაიჯანის მხარემ, სოფელ ჩინართან სომხეთის პოზიციები დაცხრილა .

სომხეთის საინფორმაციო საშუალებების ინფორმაციით, დაღუპულია ორი ჯარისკაცი, დაჭრილია ხუთი. მშვიდობიან მოსახლეობას შორის დაშავებულები არ არიან.

სომხეთის თავდაცვის სამინისტროს აღნიშნულის შესახებ ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია. სამინისტრო მოგვიანებით აპირებს განცხადების გაკეთებას. თვენახევრის წინ კი, მოვსეს-აიგეპარის გზაზე აზერბაიჯანელები სომეხ სამხედროებს დაესხნენ თავს.

ექსპერტების ვარაუდით, ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ვიზიტის წინ, მთიანი ყარაბაღის რეგიონში სიტუაციის გამწვავება, სწორედ აზერბაიჯანულ მხარეს აწყობს.

*მოამზადა გურა მამულაშვილმა*

# საუკეთესო ფოტო ქართული სპორტის ქომაგებია

სპორტკომპლექს „არენაში“ გაიმართა სპორტული ფოტოგრაფიის გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოვება. საღამოს ზაალ წულუკიძე უძღვებოდა და „ბანდ ე როლის“ მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა.

შერჩეული 20 საკონკურსო ფოტოს გამოფენის შემდეგ ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი ადგილი და 1.000 ლარი წილად ხვდა გიორგი ხელაშვილს ფოტოსთვის – „ქართული სპორტის ქომაგები“, მეორე ადგილი და 500 ლარი ბადრი კეთილაძეს, ხოლო მესამე ადგილი და 300 ლარი მიხეილ ციციაშვილს.

ჟიურის გარდა ფოტო კონკურსი ფეისბუქზეც ტარდებოდა და „ლაიქებით“ ორმა მონაწილემ გოგა ბიგვავამ და დავით დოხტურიშვილმა ხმების ერთნაირი რაოდენობა დააგროვეს, რისთვის სპორტკომპლექს „არენას“ 6-თვიანი აბონომენტი გადაეცათ. მესამე-მეშვიდე ადგილზე გასულ თეონა კანდელაკიშვილს, მანჩო შაფაქიძესა და ლელუ გელაძეს – 3-თვიანი აბონომენტები, ხოლო შემდეგ ადგილზე გასულებ თამარ გოთუას, გიორგი ხელაშვილს, თორნიკე მელაძეს და ალექსანდრე ბაგრატიონ-დავიდოვს – 1-თვიანი აბონომენტები.

რაფტინგ.ჯის სიმპათია ქალი ფოტოგრაფისთვის საუკეთესოდ თამუნა ყულუმბეგაშვილის ნამუშევარი მიიჩნიეს, ხოლო იგივე ნომინაციაში პირველობა ბადრი კეთილაძის ფოტოს ერგო. კომპანია „გალფის“ გამარჯვებული ნომინაციაში „ავტო-მოტო ფოტო“ გამარჯვებული ია მელითაური გახდა, ხოლო ფიშ სპას ფავორიტი ფოტო ნენე ხოშტარიასი აღმოჩნდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ოლია, გია, ლელა, და ნუნუ, ძმები ვასო, ჯუანშერი ოჯახებით იუწყებიან

**აპოლონ კოზმანიშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვილი: 5, 6 მაისს, თბილისი, ვაჟა-ფშაველას IV კვარტალი, XIV კორპუსი.

დაკრძალვა: 7 მაისს, ჭოპორტში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ზვიად ძიძიგური: ოქტომბერში ხელისუფლება შეიცვლება

**ნონა ცაბაძე**

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური, აშშ-ს ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს ლუის ნავაროს შეხვდა. ძიძიგური „ახალ თაობას“ შეხვედრის დეტალების შესახებ ესაუბრება:

***– ბატონო ზვიად, ძირითადად რაზე ისაუბრეთ ლუის ნავაროსთან შეხვედრისას?***

– ერთი კონკრეტული შემთხვევაა, თეთრი წყაროს რაიონში, მუშაობაში ხელი ეშლება პოლიტიკურ კოალიცია „ქართულ ოცნებას“. ჩვენ ყველა ტიპის დარღვევაზე, ხელის შეშლზე, სამართალდარღვევაზე, ბოლომდე ვახდენთ რეაგირებას. სწორედ ამ ფორმატში შედგა დღეს ლუის ნავაროსთან შეხვედრა. ჩვენ გადავეცით დამამტკიცებელი მასალა, მათ შორის აუდიო-ვიდეო მასალა, სამართლებრივი დოკუმენტები. მინდა განვაცხადო, რომ საერთაშორისო მონიტორინგი, რომელიც მიმდინარეობს დღეს საქართველოში ამ პოლიტიკური თანაბრობის საკითხთან დაკავშირებით, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს თანდათან უფრო შედის ძალაში. ჩვენ ვისაუბრეთ აღნიშნულ პრობლემებზე და თანამშრომლობის შესახებაც მოვილაპარაკეთ. ნებისმიერ სამართალდარღვევაზე თუ პოლიტიკური უფლებების დარღვევაზე გვექნება ინფორმაციების ურთიერთგაცვლა. ვინაიდან მე ქვემო ქართლს ვკურირებ, ქვემო ქართლთან რა დარღვევებიც იქნება ხელისუფლების მხრიდან, ყველა ამ დარღვევაზე რეაგირებას ვაპირებ. ვაპირებ უწყებათაშორისი კომისიის ფორმატში რეაგირებას, ვაპირებ ენდიაი-აირაის ფორმატში, ვაპირებ დიპლომატიურ კორპუსთან აქტიურ თანამშრომლობას. უკვე ჩამოსულები არიან საერთაშორისო დამკვირვებლები და მათთანაც აქტიურ თანამშრომლობას ვაპირებ. ვფიქრობ, რომ ჩვენი მხრიდან ყველა პოლიტიკური პერსპექტივა უნდა იქნეს გამოყენებული.

***– ხშირია ასეთი შემთხვევები, რაზეც თქვენ ისაუბრეთ?***

– ძალიან ხშირია. ძალიან ხშირია ადამიანების დაშინების ფაქტები, რომლებიც ხელშეკრულებებს აფორმებენ ქართულ ოცნებასთან, შემდეგ უარს ამბობენ ოფისების დათმობის თვალსაზრისით. ამავე დროს არის ძალიან ბევრი განთავისუფლების ფაქტი, როდესაც ჩვენი აქტივისტების ოჯახის წევრებს, ან ახლო ნათესავებს ათავისუფლებენ სამსახურებიდან. არის ცნობილი ფაქტები მამუკა ქარდავასი, გორის ოფისის დარბევის ამბავი. ასევე არის ზეწოლები სხვადასხვა ტიპის და კატეგორიის. თუმცა უნდა გითხრათ, რომ ეს ყველაფერი არის ღიმილის მომგვრელი, ვინაიდან ასეთი ზეწოლები, ასეთი ხელის შეშლები მხოლოდ აძლიერებს ჩვენს პოლიტიკურ კოალიციას და მის მხარდამჭერების რაოდენობას. კონტროლის პალატის დაწიოკების დროსაც, უნდა გითხრათ, რომ იმ სამი ადამიანის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ სამი ათასი აქტივისტი, რომლებიც აქტიურად ჩაერთნენ შემდეგ ქართული ოცნების პოლიტიკური კოალიციის საქმიანობაში.

***– უმატა ტერორს და შანტაჟს ხელისუფლებამ, დღეს ზვიადაურს მიუვარდნენ „ოლიმპიურ ვარსკვლავში“...***

– ეს ყველაფერი ჩემთვისაც არის ცნობილი, თუმცა უნდა ვთქვა ასეთი ტერორი, ასეთი დაწიოკება, თუკი ეფექტური იყო გარკვეულ პერიოდამდე, ამან უკვე ამოწურა თავისი თავი და პირიქით მუშაობს ხელისუფლებისთვის. დღეს, ყოველი ასეთი დაწიოკების შემდეგ, უფრო წამგებიან სიტუაციაში დგება ხელისუფლება. ვინც დააკვირდება დღეს მიხეილ სააკაშვილს, მოუსმენს მის ლაპარაკს, მის ქცევებს დააკვირდება ყურადღებით, მიხვდება, რომ ხელისუფლება პრაქტიკულად არის უკიდურესი ნერვიული აშლილობის ზღვარზე მისული. ეს ჩემთვის სავსებით გასაგებია, ვინაიდან მათ დაემუქრათ ისეთი საფრთხე, რომელიც არასოდეს არ დამუქრებიათ არც 2008 წლის მოვლენების დროს, არც 2009 წლის მოვლენების დროს. ახლა გამოჩნდა ასპარეზზე პოლიტიკური ძალა, რომელსაც სათავეში უდგას ბიძინა ივანიშვილი და ეს პოლიტიკური ძალა არ პატიობს არც ერთ უმცირეს შეცდომასაც კი მიხეილ სააკაშვილს. კმარა მოქალაქეობის საკითხიც, კმარა კონტროლის პალატის მხრიდან ჩვენი მხარდამჭერების დაწიოკების საკითხი, შემიძლია შეგახსენოთ „ქართუ“ ბანკთან მიმდინარე პროცესები და ყველა მათი მხრიდან ჩადენილი შეცდომა ძალიან მწარედ სანანებლად გაუხდათ, როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე საერთაშორისო დონეზე. ამის შემდეგ გაცილებით უფრო დაკვირვებულად და გონივრულად მოუწევთ შეცდომების ჩადენა, ხოლო ამის არც ნიჭი და არც ფანტაზიის უნარი არ გააჩნიათ. ესენი ისევ ისე ხისტი მეთოდებით ცდილობენ პოლიტიკური მოედანზე თავისთვის ადგილის გასუფთავებას და სხვების შეზღუდვას და ეს სულ უფრო და უფრო ნაკლებად ეფექტურად გამოსდით.

***– როგორც იქნა, გაიცა ქუთაისის მერიისგან ნებართვა რომ 10 ივნისს ჩაატაროთ მორიგი აქცია...***

– ქუთაისის მერიამ ძალიან სასაცილო მდგომარეობაში ჩაიყენა თავი და უკვე ბავშვების აფარება დაიწყეს პოლიტიკური ხელშეშლის მიზნით. ადრე თუ პოლიციას იყენებდნენ, იყენებდნენ უშიშროების სხვადასხვა სამსახურების ძალას და მეთოდებს, დღეს უკვე წინ აიფარეს ბავშვები და რაღაც ღონისძიებები. ერთი თვე თურმე ქუთაისში დუღს და გადმოდუღს კულტურული ცხოვრება. სკოლის ბავშვები და ბაგა-ბაღის აღსაზრდელები ჰყავთ გამოყვანილი. ეს ბავშვები ხელისუფლების მხრიდან გამოყენებულები არიან საიმისოდ, რომ აქციაზე გვითხრან უარი. სასაცილოა უბრალოდ, როდესაც პოლიტიკურ ალტერნატივას, რომელსაც სულ უფრო და უფრო ემატება მხარდამჭერთა რაოდენობა, უარს ეუბნებიან პოლიტიკური ღონისძიების ჩატარებაზე, იმიტომ, რომ ბაგა-ბაღის ბავშვები გამოვიდნენ მოედანზე. სწორედ ეს არის ხელისუფლების უსუსურობის დადასტურება. ჩვენ შეგვიძლია ღიმილით ვუპასუხოთ მათ ასეთ მცდელობებს. 10 ივნისს მაინც ჩატარდება ქუთაისში ღონისძიება. მინდა გითხრათ, რომ ქუთაისში ჩატარებული ღონისძიება ნიშნავს თბილისში ჩატარებული ღონისძიების დადასტურებას. თბილისში იყო ნდობის სრული გამოცხადება და ასეთი გამოცხადება იმერეთში და შემდეგ სხვა რეგიონებში ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური კოალიცია ქართული ოცნება არის ალტერნატივო ძალა. რომ პოლიტიკური კოალიცია ქართული ოცნება მოდის ხელისუფლებაში. მე მინდა თქვენი გაზეთის მკითხველებმა, ქუთაისის აქციის შემდეგ თავიანთი დასკვნა გააკეთონ, რომ ამ ქვეყანაში დამთავრდება იმ პრობლემებში ცხოვრება, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ შექმნა.

***– საკმაოდ ხმამაღალი განაცხადი ხომ არ არის, ბატონო ზვიად?***

– არ არის ეს ხმამაღალი განცხადება. ეს არის განცხადება, რომელიც ეფუძნება რეალობას. ხმამაღლა ვიტყვი, რომ ოქტომბერში ხელისუფლება შეიცვლება.

# „გამოფენა საქართველოზე“ პოლონეთშია

დასაწყისი მე-10 გვერდზე

შესრულებული. ხელნაწერები პრინცმა ადამ ჩარტორისკიმ პარიზის აუქციონზე XIX საუკუნეში შეიძინა, – განმარტა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

პოლონეთის სახელმწიფო არქივების დელეგაცია, ვლადისლავ სტეპნიაკის ხელმძღვანელობით, საქართველოს ეროვნულ არქივს საპასუხო ვიზიტით 2012 წლის შემოდგომაზე ეწვევა.

თეა ქიმერიძის ცნობით, იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივს მუსიკოს ვასილ თამარაშვილის პირადი არქივი შეემატა. მასალა ეროვნულ არქივს უსასყიდლოდ გადასცა ვასილ თამარაშვილის შვილიშვილმა ნოდარ ხითარიშვილმა.

– ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის მიხეილ თამარაშვილის ძმისშვილი ვასილ თამარაშვილი 1883 წელს თბილისში დაიბადა. სწავლობდა თბილისის ოთხ კლასიან სასწავლებელში, შემდეგ დაამთავრა თბილისის მუსიკალური სასწავლებელი, სადაც მუსიკალური თეორიის კურსს ზაქარია ფალიაშვილი ასწავლიდა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ ვასილ თამარაშვილი შეუდგა ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების შესწავლასა და აღდგენას. მან ქართველ მოღვაწეთა შორის პირველმა შექმნა ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტული ორკესტრი და მისი ხელმძღვანელიც იყო. აღსანიშნავია, რომ თამარაშვილის მიერ 20-მდე საჩხეობის ხალხური საკრავია აღდგენილი. ვასილ თამარაშვილმა შექმნა მეთოდური სახელმძღვანელო მუსიკალური ინსტრუმენტების შესასწავლად. მასვე ეკუთვნის ნოტების საბეჭდი მექანიკური მანქანის გამოგონება XX საუკუნის 30-იან წლებში, რომელიც სანოტე ნიშნებთან ერთად, ბეჭდავდა ლიტერატურულ ტექსტს ხუთ ენაზე. დღეისათვის არსებობს ამ მანქანის პატენტი, თუმცა მისი სერიული გამოცემა სხვადასხვა მიზეზი გამო არ მოხერხდა, – განაცხადა თეა ქიმერიძემ.

ვასილ თამარაშვილის პირად არქივშია მასალები სანოტო მანქანის გამოგონების, ძველი მუსიკალური საკრავების აღდგენის შესახებ, საოჯახო და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები, ნაშრომები მუსიკალური საკრავების გამოყენების წესების შესახებ. ფონდშია, ასევე, ზაქარია ფალიაშვილის რეკომენდაცია თბილისის მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებული ვასილ თამარაშვილისათვის სამხედრო მუსიკალური გუნდის კაპელმეისტერად დანიშვნის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

– თამარაშვილის პირადი არქივის მასალა საარქივო წესით დამუშავდება, აღიწერება და მუსიკის ისტორიის მკვლევარებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ აღნიშნული მუსიკოს-გამომგონებლის პირადი ფონდით, – ამბობს თეა ქიმერიძე.



# TV პროგრამა

## სამშაბათი 5 ივნისი

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 საფეხბურთო მიმოხილვა 13.15 ქარ. მხ. ფ. „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი„ 14.30 ევრო-2012. 15.00 სერ. „დეტექტივი„ 17.00 მედ-ინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. „ტაქსისტი„ 21.00 სერ. „დეტექტივი„ 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა. 00.00 მხ. ფილმი „მედგარი გული„ (12) (ა. ჯოლი) 02.20 მხ. ფილმი „ანგარიშსწორება„ 04.25 მხ. ფილმი „უცნობი ჩემს გვერდით„ 06.00 დოკ. ფ.„რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა„

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 13.45, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პირდაპირი) 16.00 დოკ. ფილმი 16.45 სერ. „არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის„ 20.00 მხ. ფილმი „ხატი„ 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფ. „შეუსრულებელი მისია-3„ (ტ. კრუზი)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. „მოპარული ბედნიერება„ 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. „ღვინის გზა„ 15.40 ღამის შოუ (გან.) 17.40 სერ. „მეწამული ცა„ 18.40 სერ. „შურისძიების სახელით„ 21.00 სერ. „მემკვიდრეები„ 22.00 ნანუკას შოუ 23.40 თბილისი ლაივი 00.50 სპეც რეპორტაჟი (გან.) 01.40 მხ. ფილმი „საქმიანი ქალი„ (12) (მ. გრიფიტი) 03.50 მხ. ფილმი „სიცილიური კლანი„ (U) (ა. დელონი) 06.30 სერ. „შურისძიების საფასური„

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. „დედის გული„ 11.00 სერ. „კლონი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერ. „ტერეზა„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50 სერ.„ველური ყვავილი„ 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 23.00 თქვენი შოუ 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. „მარია ემილია„ 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ.„მისი სულის მუსიკა„ 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. „ველური მთვარე„ 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. „ვნებათა მიწა„ 21.00 სერ.“გაუხსნელი საქმე„ 22.00 იცხოვრე ფეხბურთით 22.50 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერ. „სკოლის მეგობრები„ 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. „საგა„ 12.50, 19.35 სერ.„ბარონესა კარინი„ 13.50 სახლი ბათუმში 15.15 სერ. „სკოლის მეგობრები„ 16.00 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 დოკ. ფილმი „ისინი„ 23.40 მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 განთიადი 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ. ფილმი „სამთავროს დედათა მონასტერი„. 11.15 დოკ. ფილმი „შემთხვევა მატარებელში„. 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები. 13.20 კონცერტი. 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი „მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად„ 15.55 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„ 16.30 კვირიაკე 18.10 საქართველო არის ესე. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 18.53, 22.50 ერთი ნივთის ისტორია. 19.20 ეთნოგრაფია. 19.15 მხ. ფილმი „ხევისბერი გოჩა„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.25 ქართული ალბომი 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი „წერილი ნაძვებს„. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთი დღე მონასტერში 01.20 მხ. ფილმი „რიგითი რაიანის გადასარჩენად„ 1-ნაწ.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

5 ივნისი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6219 |
| ევრო | 2,0582 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5626 |
| რუსული რუბლი | 0,0549 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 10-14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-21, ღამით — 8-10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19-23, ღამით — 7-9

**ამინდის პროგნოზი 5 ივნისისთვის**





8 მაისიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“ მეოთხე ტომი

მასონები



გამოსულია:

პირველი ტომი ტირანები

მეორე ტომი 100 გამოჩენილი მხედართმთავარი

მესამე ტომი კანიბალიზმის ისტორია





გამოსაცემად მზადდება:

- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები - იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



2

28 მაისიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

მეორე ტომი

ფასი 6 ლარი


## ასტროპროგნოზი 5 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – მხიარულად ხართ, ასე განაგრძეთ. **ტყუპები** – ყველა საქმე გამოგდით, მთავარია არ შედრკეთ. **კირჩხიბი** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, მაინცდამაინც დღეს ნუ გადააგორებთ მთებს. **ლომი** – კარგ ფორმაში ხართ, ბედს ეწევით. **ქალწული** – ნურავის ენდობით, საკუთარ გულს დაუჯერეთ. **სასწორი** – ახალ საქმეს წამოიწყებთ და ბოლომდეც მიიყვანთ. **ღრიანკალი** – პატარა პრობლემას ადვილად გადალახავთ, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** – აირჩიეთ საჩუქარი, ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. **თხის რქა** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **მერწყული** – საქმე გაქვთ, მაგრამ გაურკვევლობაში იმყოფებით. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. შვიდდღიურის, მთელი კვირის ძველი ქართული სახელწოდება; 2. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 3. ჭადრაკის წინამორბედი, ინდური მაგიდის სათამაშო; 4. ამერიკელი მოცურავე მამაკაცი, პეკინის ოლიმპიადის რვა ოქროს მედლის მფლობელი; 5. განსაკუთრებით ძვირფასი სამახსოვრო ნივთი; 7. ჯიხვების ჯოგი; 11. ირლანდიის დედაქალაქი; 13. დაჩეჩილი მატყლი, მაღალხარისხოვანი შალის ქსოვილების დასამზადებლად; 15. ჭაობში ბინადარი გრძელნისკარტა ფრინველი; 16. მდინარე ლონდონში; 18. ბრიტანული არაყი; 19. ცურვის ერთ-ერთი სტილი.

**თარაზულად:** 6. კინოპრიზი საფრანგეთში; 8. საღამოს სადილი; 9. ფიჭიანი თაფლი; 10. საკარმიდამო მამული ბრაზილიაში; 12. ქართველი მწერალი, რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 14. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში; 17. ესთეტიკური განცდის უნარი, სილამაზის, მშვენიერების გრძნობა; 20. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 21. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 22. დეტექტიური ჟანრის ინგლისელი მწერალი ქალი; 23. ყველაზე წვრილი ხურდა ფული ბრიტანეთში.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



## ბრიტანეთის დედოფლის იუბილე — ზეიმი ტემზაზე

ათასობით ადამიანს წვიმიან ამინდში დედოფლის სანახავად ლოდინი ულირდა. „განსაცვიფრებლად გამოიყურებოდა. რომ ჩაიარა, ხელი დამიქნია“, – დარწმუნებულია 48 წლის ჯოან რევიტი. ბოლო სამასი წლის მანძილზე ეს ყველაზე მასშტაბური ღონისძიება იყო. ტემზაზე გამართულ ზეიმში ათასმა გემმა მიიღო მონაწილეობა.

სხვადასხვა ეპოქისა და კონსტრუქციის გემები, რომლებიც ბრიტანეთის საზღვაო ისტორიას ასახავენ, მდინარეზე თაუერის ხიდამდე დაეშვნენ. ელიზაბეტ მეორემ, სამეფო ოჯახის წევრებთან ერთად, ამ მსვლელობაში სპეციალური გემით მიიღო მონაწილეობა, რომელიც 10 ათასზე მეტი ყვავილით იყო მორთული.




საზეიმო ცერემონიალი ორგანიზატორებს 10,5 მილიონი დოლარი დაუჯდათ.

დედოფალ ვიქტორიას შემდეგ, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში მეფობდა, ელიზაბეტ მეორე პირველი ბრიტანელი მონარქია, რომელმაც ამ პოსტზე 60 წელი გაატარა.

მისი სამეფო უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედ მეორე უინძორი (დ. 21 აპრილი, 1926, ლონდონი) – დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მმართველი დედოფალი და სახელმწიფოს მეთაური, ტახტზე ავიდა 1952 წლის 6 თებერვალს, გვირგვინი დაიდგა 1953 წლის 2 ივნისს. ასევე თანამეგობრობის 15 სახელმწიფოს მეთაური (ავსტრალია, ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამები, ბარბადოსი, ბელიზი, გრენადა, კანადა, ახალი ზელანდია, პაპუა-ახალი გვინეა, სენტ-ვინსენტი და გრენადინები, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ-ლუსია, სოლომონის კუნძულები, ტუვალუ, იამაიკა), ანგლიკანური ეკლესიის მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და კუნძული მენის ლორდი.

მოამზადა გურა მამულაშვილმა

## ფედერაცია პროფლიგისა და ეთიკის კოდექსის ჩამოყალიბებას გეგმავს



გუშინ სფფ-ში ალმასკომის სხდომა გაიმართა, სადაც განიხილებოდა რამდენიმე საკითხი, მაგრამ მათ შორის ყველაზე აქტუალური იყო საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტის ილია კოკაიას მიერ სფფ-ში შეტანილი წერილი, რომელშიც ეჭვებია დაფიქსირებული გარიგებულ მატჩთან დაკავშირებით (მერანი-მეტალურგი). ალმასკომის სხდომა თითქმის 2 საათს გაგრძელდა, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შეიქმნება ჯგუფი, რომელიც მიიღებს ეთიკის კოდექსს კლუბებისთვის. იმ შემთხვევაში თუ მომავალში რომელიმე მატჩი გამოიწვევს ეჭვს, სფფ აღნიშნული კოდექსით იხელმძღვანელებს. ამავე კოდექსის მიხედვით გამოიტანს დასკვნას „ზესტაფონის“ წერილთან დაკავშირებითაც.

ალმასკომის დასრულე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## გიორგი უშიკიშვილი ეროვნულ პრემიას გასცემს

ეკა ირემაშვილი



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი და მისი ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი ტრადიციას არც წელს დაარღვევს და ფოლკლორის ეროვნულ პრემიას საუკეთესოებს მიანიჭებს, მანამდე კი უკვე ოფიციალურად გამოცხადებულია კონკურსი „ფოლკლორის ეროვნული პრემია 2012“-ის მოსაპოვებლად. „ფოლკლორის ეროვნული პრემია 2012“-ის მოსაპოვებლად კონკურსი გამოცხადებულია შემდეგ ნო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე